

№43 (307)

ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ზომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე“

ვინაღაც ლინჩი

ფასი 1 ლარი

4 – 10 ნოემბერი 2015 წ.

ლიბერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

www.qartulicityva.ge

„ქართული სიტყვა“ ინტერნეტში

„ქართული ოცნება“ ვიდეო-გადაცემის ინტერნეტ-პორტალზე

ირაკლი კაკაბაძის ემოციური ინტერვიუ



30-11 33.

შეთქმულა თავდაცვის სამინისტროში



„ყველა თავის ჭუჭყიან
თეთრულს მიხედოს“

„კოლომისკი გასამხადრობული სამხადრო ფორმირება-
ბების ფარული სპონსორია და ეს უკრაინის კანონმდებლ-
ობით არ იკრძალება. მას საკმაოდ მაღალი ღონის კერძო
სპეცსამსახური აქვს, ვისი საშუალებითაც შექლო, მიხეილ
სააკაშვილის საუბარი, მიყურადების შედეგად, დაეფიქ-
სირებინა, რაც უკრაინის კანონმდებლობით, ასევე, აკრძ-
ალული არაა. კადრებიც, რომლებიც მანამდე უკრაინულ
საიტზე აიტვირთა, კოლომისკისგან მოდის, რომელიც
„ვიკილიქსს“ გადასცა“.

30-2-3-4 33.

უზიზროების პოლკოვნიკი: „ეს
მცოცავი სახელმწიფო
გადატრიალებაა“
ვინ იწერს სააკაშვილის საუბარებს

„ნაციონალურს“ ზვირი ევროპელი მოხელე
შანტაჟზე ჰყავთ წამოგებული“

„ჩემი ცხოვრებიდან გამოსაძიებელი არაფერია!“



ის, რაზეც ეკა გენელიას
საჯაროდ არასოდეს
ულაპარაკია

30-8-9-10 33.

რას ფიქრობს ინგლისურის ქართულ აქცენტზე, „გენელკებზე“
და რა შეკითხვები აქვს ფოთის ხელმძღვანელობასთან

სამშობლოში დაბრუნებული
ყოფილი ემიგრანტები ისევ
უცხოეთში ბარბიან?! 30-15 33.

რას ნიშნავს „თეთრი პასპორტი“



შვილს უკეთესი მომავლის გარანტია
ჩვენს უნივერსიტეტში!

30-17 33.

The Virus საბავშვო ევროვიზიის
დასაბჭრობად ეგზადება

სამრავალსისხლო ტრიპუნა

მე-9 გვერდიდან

ობებს ბოლომდე შევასრულებ.
— ფოთისგან დისტანცირება კულუარული დაპირისპირების შედეგი ხომ არაა? ასე, მაგალითად, ამბობენ, რომ ფოთის მოქმედი მერი და, საერთოდ, სამეგრელო დავით საგანელიძის კადრებითა და კომპლექტებით...
— დათოსთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს და ხელისუფლებაში მოსვლამდე ვმეგობრობდით...

— შეგასხებენ: პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები და მტრები არ არსებობენ!
— ასეთი მუდმივი მეგობარი მაყავს — გედევან ფოფხაძე და ჩვენს მეგობრობას არანაირი პოლიტიკური მოტივაცია კითხვის ნიშნებს არ გაუჩენს!

— სხვათა შორის, არსებობს ადამიანი, რომელიც ფოთის მერს, კაკულიას გარკვეულ ბრალდებებს უყენებს და აცხადებს, რომ საქმის კურსში შენც ჩაბაყენა, თუმცა პასუხი ვერ მიიღო...
— დიახ, ამ ადამიანმა „ფეისბუქზე“ მომწერა, მაგრამ ეს ორი ადამიანის ვალთან დაკავშირებული პრობლემა და იმდენად კონკრეტული დავაა, რომ, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე, ვერ ჩავერეოდი და ვერც მტყუან-მართალს გავარჩევდი... მოკლედ, უყურადღებოდ არ დამბრუნებია და ამ ადამიანს აკუსსენი, რომ ეს გამოძიებისა და სასამართლოს გადასანჯვეტი საკითხია.

— ეკა, გამიკვირდა: საღამოს 9 საათზე, კომიტეტში ამდენი თანამშრომელი დამხვდა... ისიც მითხარი, 24 საათი ვმუშაობთო. ამ მუშაობაში ისეთი თემები დაინტერესება თუ შედის, ვთქვამთ, ნიკა გვარამია რომ განაჯება, ხელისუფლება კონკრეტული ურთიერთობების ვიდეოს გამოქვეყნებით მასწავლებსო?
— ვანო, კომიტეტში, ყოველდღიურად, ასამდე განცხადება შემოდის.

— და ყველა განმცხადებელი უფლებების დარღვევაში „ნაცებს“ ადანაშაულებს?
— მეტი წილი, მაგრამ არის, მაგალითად, მერიასთან დაკავშირებული თემები, ზოგიც სწავლის დაფინანსებას ითხოვს და ასე შემდეგ...
— განცხადებები ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზეც შემოდის?

— ბენდერი ვარ, რომ ციხეებიდან წამებების ფაქტებზე განცხადებით არავინ მოგვმართავს, თუმცა პატიმრებისგან ბევრ განცხადებას ვიღებ, რომელიც ძირითადად, ერთი დასესებულებიდან მეორეში გადაყვანას, შეწყალებას, ან ვადაზე ადრე გათავისუფლებას ეხება... სხვათა შორის, რეკომენდაციას უამრავ იპოთეკარს ვაძლევი. საერთოდ, რეაგირების გარეშე ერთ განცხადებასაც არ ვტოვებ და იცი, სამ წელში რამდენი განცხადება მაქვს განხილული?

— რამდენი?
— 35 ათასზე მეტი, თან ყველას პასუხს ვაძლევი... საღამოს 9 საათი კი არა, უფრო გვიანობამდეც ვმუშაობთ ხოლმე.
— თუკი ასეა, აბა, „ოცნებას“ უნიათოს რატომღა ეძახიან? ვეგებ, ყველა კომიტეტი თუ ადმინისტრაციული უწყება ასეთ რეჟიმში არ მუშაობს?
— შესაძლებელია... სუსტი რგოლები არსებობს, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს ხელისუფლება იმაზე უარესია და არავფრს აკეთებს, უსამართლობაა! შემიძლია, ძალიან ბევრი მიმართულია ჩამოვთვალო, სადაც წინ წავედით, იგივე ადამიანის უფლებების კუთხით ისეთი განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის.

— ნიკა გვარამიას განცხადებით დაინტერესდი?
— რა თქმა უნდა.
— ანუ, გვარამიას შეხვდი და ყველაფერი წვრილად გამოჰკითხე?
— ნიკას ძალიან კარგად ვიცნობ და, სხვათა შორის, ჩემი პირველი მოადგილე, გედევან ფოფხაძე ხელისუფლებიდან პირველი იყო, ვინც, როცა ნიკა დაიჭირეს, გამოესარჩლა, მაგრამ ამის გამო გედისთვის არავის უსაყვედურია. წინა ხელისუფლების დროს კი, ასეთ რამეს ვერავინ გაბედავდა. ისე, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული საქმე სხვებზე უკეთ ვიცი — ქიბარ ხალვაშს ვიცნობ და ბევრი დეტალი ვიცი, ბევრი დოკუმენტიც მაქვს ნანახი, მაგრამ ამ დეტალებზე არ ვსაუბრობ და ნეიტრალური პოზიცია მიჭირავს.
რაც შეეხება იმას, რომ ნიკა გვარამიას ვილაღ დაემუქრა, პირდაპირ ვთქვი, ეს უნდა გამოვიძიოთ-მეთქი, რადგან რა პოზიციაზეც უნდა ვიყო, ადამიანის შანტაჟს, თვალთვალსა და პირად ცხოვრებაში ჩარევას არასოდეს



გავამართლებ და ჩვენი გუნდის პოზიციაც ასეთია, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი სურათია: იმას, რაც გვარამიამ თქვა, ბატონი ახვლედიანი არ ადასტურებს. დანარჩენი გამოძიებებზე თქვა, ხელმწიფი კიდევ რამე არის თუ არა. ისე, ნიკას მიმართ ისეთი მაღალი სანდოობა არ არსებობს, რომ მისი ყველა განცხადება უკრიტიკოდ მივიღოთ და გავიზიაროთ, რადგან 7 ნომერშიც გვასხოვს და ფილმი „ნომერიდან ნომერამდე“.

— გვარამია აცხადებს, რომ ამ ფილმის მოზადებაში მონაწილეობა არ მიუღია და როგორც გენპროკურორის მაშინდელ მოადგილესთან, უბრალოდ, ინტერვიუ ჩაწერეს...
— მაშინ ყველა მოკლულად შეიკვდა. ნიკა კი, მთავარი პროკურორის მოადგილე იყო...
— ისე, ეკა, ჩვენში დარჩეს და, ყველა ხელისუფლების ხელნაწი ერთნაირია: მუდმივად გადატრიალების შედეგობა და 315-ე მუხლი...

— ეს მუხლი კოდექსში სულ იქნება...
— ცხადია, მაგრამ შეთქმულების დამტკიცება საკმაოდ რთულია...
— დიახ, თუმცა ვნახოთ, გამოძიება რას „დადებს“...
— თუ იცი, იმ საქმეზე, შს ყოფილმა მინისტრმა, ჭიკაძემ საბურავებზე განცხადება რომ გააკეთა და შეთქმულების მუხლით ძიება დაიწყო, რა მდგომარეობაა?
— ის საქმე არ დახურულა... მაშინდელი და ახლანდელი საქმეები გამოძიების პროცესშია.

— ...რატომღაც მეგონა, რომ კაბინეტში სტალინის სურათი უკვე გეკიდებოდა!
— (იცინის) არა, არა... ჩემთან მხოლოდ პატრიარქის სურათს ნახავ!
— ეკა ბესელიას, მინიმუმ, არ რცხვენია, რომ გოგო თოფაძე და გუგული მალრადე მისი თანაგუნდელები არიან? ალბათ, გასოვს, ქაღალტინმა მალრადე გარემოვაჭრებს პირდაპირ ეთერში მიახალა, თქვენზე მეტს ვმუშაობ და, დიახაც, თქვენზე მაღალი ანაზღაურება მეუთვინისო...

— ვანო, ჩემს კოლეგაზე ასეთ რამეს არ ვიცევი... ბევრი გამონათქვამი არ მომწონს, იგივე სტალინის სურათთან დაკავშირებით... გარემოვაჭრებთან დაკავშირებითაც კონტექსტი ცოტა უხეში იყო და შეგნით, გუნდში უფრო გულწრფელად ვსაუბრობ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ვთქვა, მრცხვენია, რომ ისინი ჩემი კოლეგები არიან-მეთქი... იდეალური არავინ ვართ, ადამიანი ბევრი დადებითი და უარყოფითია, კოლეგებს საჯაროდ არასოდეს ვახსიანებ...
— შენი კოლეგებისგან განსხვავებით, მეონი, არასოდეს გითქვამს, ესა თუ ის სატელევიზიო არხი დახსროსო, არა?
— არა, არასოდეს და ეს სწორი გამონათქვამი არაა!
— კვირიც... ეკა, დედაშენს მოსწონს, პენსია 10 ლარით რომ გაეზარდა?
— არა, არ მოსწონს...
— გაგებით ეკიდება?
— ვითარებას რეალურად აფასებს. ყველას გვინდა, რომ პენსია უფრო მაღალი იყოს.

— „ოცნება“ ხალხს 200-დოლარიან პენსიას პირდებოდა...
— ამას ვინც ამბობდა, პასუხი იმან გასცეს. თუმცა ჩვენ 60 ლარით გავზარდეთ პენსია, გავაორმაგეთ სოციალური დახმარებები.
— ვინც ამბობდა, იმას პარლამენტში სძინავს...
— ვის?
— ვითომ არ იცი, — გუბაზ სანიკიძეს.

ევე და, ადამიანს, რომელიც თუნდაც იმას, რაც იქ ხდებოდა, ეთანხმებოდა და ეთანხმება, პატიოსნად არ ვთვლი.

— თუ „ნაციონალმა“ პოზიცია „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეიცვალა და ახალ ხელისუფლებაში დაპორტირდა, არა უშავს?
— ჩემთვის მაღალი სტანდარტი არც ესაა, თუმცა მათ, ვინც დღესაც იქ არიან, სჯობია.

— ...მარკა ვერულაშვილთან ურთიერთობა ალადადინე?
— ჩვეულებრივი, კოლეგიალური ურთიერთობა მაქვს... ისე, რამდენიმე გამოცდის გარდა, „ნაციონალებთან“ მისალმებაც კი მიჭირს.

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სააკაშვილის უფლებებს დაიცავ?
— ვერა!
— ეს ხომ არაობიექტური იქნება?
— თუ ისე მეკითხები, როგორც საჯარო მოხელეს, დღეს სხვა ვალდებულება მაქვს — ყველა უნდა დავიცვა, ვისი უფლებაც დაირღვევა, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ სააკაშვილის უფლება ირღვევს. სამაგიეროდ, მისგან უფლებადარღვეულ ადამიანებს დღესაც ვხედავ.

— შენი ვაჟი სადაა?
— თბილისშია და იმ ამორალური ადამიანების ჯგუფისგან, რომელსაც ჩემს გამო იერში ჩემს შვილზე მიჭირდა, ბევრი უსამართლო განცდა შეხვდა.

— ხომ არ გასყვედურობს ხოლმე, რომ შენს გამო ბევრი გადაიტანა?
— კი, ეს უთქვამს... ვანო, შემიძლია, ყველაფერზე ნაკლები ემოციით ან, საერთოდ, უემოციოდ ვილაპარაკო, მაგრამ ეს ჩემთვის ყველაზე მტკიცეული თემაა და განსაკუთრებით, რამდენიმე ქალს ვერასოდეს ვაპატიებ. პერსონალურად შურისმძიები არ ვარ — ის მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც ჩემი ძისა და შვილის საქმეში ფიგურირებდნენ, დღესაც სისტემაში არიან. მესმის, მაშინ ყველაფერი ეს რატომაც ხდებოდა, მაგრამ უახლოეს წარსულში, როცა ჩემი დასჯისთვის, იაფფასიანი მდარე სცენარით სიუჟეტები მზადდებოდა, ამას არასოდეს ვაპატიებ!

— იმუქრები?
— არა, უბრალოდ, შინაგანად ვერასოდეს ვაპატიებ!

— თუნდაც იმითმ, რომ შენმა შვილმა მორალური ტრავმა მიიღო, „ნაციონალებთან“ ბრძოლა გიღირდა?
— რა თქმა უნდა! თუ ნებისყოფა და გამბედაობა არავის ეყოფოდა, რომ პირადი ტრავმებისთვის გაეძლო, სისტემას ვერასოდეს შეეცვლიდით! თუნდაც მორალურად ვერ გამოვჯვრდებოდი.

— როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, „ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო სიაზე უკვე მუშაობს. ისევე ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნები?
— გულწრფელად რომ გითხრა, ამაზე არ ვფიქრობ.

— დეპუტატობა ისევ გინდა?
— პოლიტიკაში არც თავის დროზე მინდოდა და ახლა კიდევ უფრო მეტად არ მინდა, მაგრამ საერთოდ დამავეწყა, რა მინდა და არ მახსოვს, ის, რაც მინდა, ბოლოს როდის გავაკეთებ. საჯარო პირი ასე უნდა ფიქრობდეს — არის თუ არა საჭირო ქვეყნისთვის? გადასწვებელია მომავალშიც ასე მივიღებ. პროფესია მაქვს და ჩემი თავის პოლიტიკის მიღმა წარმოდგენაც შემიძლია, თუმცა მეონია, იქ, სადაც დღეს ვარ, პოზიტიურს ვაკეთებ!

— საუბრის დამთავრებას, დასაწყისისა არ იყოს, სხვანაირად ვაპირებდი, მაგრამ სხვანაირად დავამთავრებ: მართალია, „ოცნება“ „ფინ-დი-აი“-ს კვლევებს არ ენდობა, მაგრამ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში თუნდაც კოალიციური მმართველობით რომ დაბრუნდნენ, აუტომატურად, ცხადია, არ აცდებია...
— „ნაციონალები“ ხელისუფლებაში არასოდეს დაბრუნდებიან!
— შემიძლება, მაგრამ „ოცნებას“ ბევრ ხანაც გიგებოთ...
— რა თქმა უნდა. ეს ხომ ბევრი მანიაკალური ადამიანით დაკომპლექტებული დანაშაულებრივი დაჯგუფებაა. „ნაციონალებს“ ხელისუფლებაში დაბრუნების ფორმალური შანსიც არ აქვთ, ამიტომ, სააკაშვილის ოცნება რეკოლუციაა!
— მოკლედ, ყველა გზა ოცნებაზე გადასა, არა?
— (იცინის) ასეა!
— ეკა, წარმატებებს გისურვებ!

ესაუბრა მანო პაპინაშვილი



ნიუ ჯორჯია. საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათვლო – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო კონკი

■ მოზიცი

რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა. შეხვედრაზე ირაკლი კაკაბაძე იმყოფებოდა, რომლის თქმითაც, „პრეზიდენტმა რამდენჯერმე ახსენა სიტყვა „ფაშისმი“, როდესაც ბოლო 15-20 წლის მოვლენებს აღწერდა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ გვაქვს კონკრეტული წინადადება, რომლითაც გიორგი მარგველაშვილს მივმართეთ – გესურს შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც 1992 წლიდან დღემდე არსებულ მოვლენებს დაარქმევს თავის სახელს. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გვიმტყუნა“. საერთოდ, პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძის აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ ის შეძლო, რომ ქვეყანაში „ნაციტური კომპარია“ სასწრაფო გზით დააბრუნა და 2012 წლის არჩევნების შედეგად, ჯანმრთელობის რეფორმის გარდა, არაფერი მომხდარა, ქვეყანაში ისევ პოლიტიური რეჟიმია. რას ფიქრობს ირაკლი კაკაბაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე და როგორ უნდა გავიგოთ 21-ე საუკუნეში ვაჟის „გველისჩამელის“ ფილოსოფია? – „ქართული სიტყვა“ ირაკლი კაკაბაძეს ესაუბრა:

- მალე შურნალისტებთან საუბარს თავს ვანებებ,
- რატომ, ნაწყენი ხარო?
- ამიერიდან მირჩევნია, ჩემი სათქმელი პროზაული ნაწერებით ვთქვა.
- როგორ ფიქრობ, საზოგადოების სამსჯავროზე რა მთავარი თემები უნდა დაბრუნდეს?
- მთავარი მიმართულება სულიერების თემებია – ჩვენში მძლავრად ფეხმოკიდებული ლიბერალიზმი ადამიანში სულიერებას კლავს და ეგოიზმს ავითარებს. გენიოსი ფილოსოფოსების აზრით, ადამიანი მაშინ ხდება რეალიზებული, როცა საკუთარ თავს გადააბიჯებს და სხვას სიკეთეს გაუკეთებს. სხვის ხარჯზე მოპოვებული წარმატება ბედნიერება არაა. ის სხვებთან ერთად სამყაროში გახსნა და საოცარი უსასრულობის გაცნობიერება, დაქუცმაცებული ადამიანის ხელახლა გამოლიანებაა. ღმერთი ხომ ყველას, როგორც ერთ მთლიანს, ისე აჩენს, ტექნოკრატიული ქაჯი კი, ყოველ ჩვენთაგანში მის სულს ანანევებს და კუნწავს.

- საზოგადოების მიმართ ძალადობაზე თქვენეული შეფასება ძალიან საინტერესოა.
- საზოგადოებაზე ძალადობა, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ისტებლიშმენტი „გრიპის“ ძალადობა ადამიანთა სიღატაკე და გარიყულობა – მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გარიყულია.

- რას ნიშნავს „გარიყულია“? ადამიანებს თუნდაც სოციალურმა ქსელებმა მეტი დაახლოების შანსი მისცა...

- კი, მაგრამ ქვეყანაში რამდენი ინტერნეტი მომხმარებელია, – 100 ათასი?
- ალბათ, უფრო მეტიც.
- და რა ხდება სოციალურ ქსელებში? 2005 წელს პროგრამა აამუშავეს, რომლის მიხედვითაც, ათასობით დაქირავებულ სტუდენტს „ტროლობას“ ასწავლიან და როგორც კი მართალი აზრი გაჩნდება, მაშინვე ჩაკლავენ. ასე წარმართავე საზოგადოებრივ აზრს ინტერნეტის ვირტუალურ ვსივლით. სახელმწიფო საზოგადოებას კლავს, ამბინჯებს და ანადგურებს. „ნაცვების“ და „ქოცებისგან“ შემდგარი სისტემა თუ არ შეიცვალა, ხელისუფლება მოძალადის სახელს ვერ მოიცილებს!

- სხვანაირი ხელისუფლება ოდესმე არსებობდა?

- საქართველოს ორჯერ ჰყავდა დემოკრატიული ხელისუფლება – 1918 წელს და 1989-1992 წლებში. ზვიად გამსახურდია ერთადერთი იყო, ვინც სათავეში გაუყალიბებელი არჩევნებით მოვიდა, მაგრამ პოლიტიკოს-ბიზნესმენმა ხელისუფლებას ძალადობრივი გზით ჩამოაშორეს. სწორედ მას მერე პოლიტიკა და ბიზნესი ქართულ პოლიტიკაში ერთმანეთში გადახლართული.
- 2012 წლის არჩევნებზე ხომ დემოკრატიულია შეფასდა?
- 2012 წლის არჩევნების წინ ადამიანებზე გაუგონარი ძალადობის კადრები გავრცელდა, რამაც არჩევნების ბედი „ოცნების“ სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში, გაყალიბებული არჩევნები არა მარტო „ოცნებამ“, არამედ, სააკაშვილმა და პოლიტიკოს-ბიზნესმენტმა მოიგო. არ მგონია, ქართველი კაცი ისეთ ნამუსგარეცხილია, რომ ციხის კედლების გავრცელების მერე „ნაციონალებს“ 40% მივლეთ. „ოცნებამ“, კოზაბიტაციის საფასურად,



„ქართული ოცნება“ მდიდარი უმცირესობის ინტერესებს ემსახურება!“

„ნაციონალებს“ ხელისუფლებაში დარჩენის საშუალება მისცა.

- ანუ, ადგილი გარიგებას ჰქონდა?
- ამას „გადათამაშებას“ დავარქმევდი. სააკაშვილმა ამით თავი დააღწია ქვეყანაში სახალხო აჯანყებით გამოწვეულ რისხვას, რაშიც დღევანდელი ხელისუფლების მოქმედება მარტო მხუმებს, თუმცა მათ შორის უამრავი ნიჭიერი ადამიანია. ბოლო 23 წელია, საქართველოში სტრუქტურული და კულტურული ძალადობა მიდის. ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის სახელით ისეთი საშინელი სისტემა შემოსული, რომელიც მოსახლეობის 90-95%-ს მუდმივად მონურ მდგომარეობაში აცხორებს. ამ სისტემას მთავარი ისტებლიშმენტური პარტიები იცავენ – მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, რომელი ოლიგარქის ხელში იქნება პროპაგანდისტული საშუალებები. ხალხი კი, სულს ღაფავს. სახელმწიფო არაფერს ნიშნავს, თუ მისი მოსახლეობის 95 პროცენტს მონურ მდგომარეობაშია. სახელმწიფო არაფერს ნიშნავს, თუ მის ახალგაზრდა მოქალაქებს დაუშვებლად კლავენ.

„ქართული ოცნება“ ძველი „მოქალაქეთა კავშირის“ შედარებით რბილი ოცნებაა, რაც იგივე მდიდარი უმცირესობის ინტერესებს ემსახურება. მოსახლეობას კი, უამრავი გასაჭირი აქვს. 300 ათასი ოჯახი, ბანკის ვალის გაშვით, საკუთარი საცხოვრებელი ფონის სანაცვლოდ პირასაა. ამ დროს, თურმე, იმაზე უნდა იწერე იულოს, ყოფილი პროკურორი ნიკა გვარამია იქნება ერთ-ერთი მატყურა სატელევიზიო არხის უფროსი თუ ქიბარ ხალვაში. კლუბტოკრატია, ოლიგარქია და პოლიციური რეჟიმი ქართველ ხალხს აბსოლუტურ უმრავლესობას მონობაში, ან შიმშილით სიკვდილებს პირას ამყოფებს. ამ მდგომარეობის გამოსწორება ერთობლივი ნებითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომაც საჭირო ყველა ჩვენგანის მობილიზაცია და არა – დეზინფორმაციონების ომზე. მთავარი გადატრიალება ჩვენს აზროვნებაშიც და ხელისუფლებაშიც მშვიდობიანი, არაძალადობრივი გზითაა მოსახლენი.

ამ საშინელი სისტემის ალტერნატივა სოციალურად ორიენტირებული ნამდვილი დემოკრატიაა, რომელიც ხმას ყველა მოქალაქეს მისცემს და არა – მხოლოდ ერთულ ოლიგარქებს, მათ იურისტებს, პოლიტიკოსებს და მომსახურე პერსონალს.

- ირაკლი, მსოფლიოში მედიის თავისუფლების და დამოუკიდებლობის ხარისხის როგორი მაჩვენებელია?
- გაანთი, რომელ ქვეყანაზე საუბრობთ და თავისუფლებაში რას გულისხმობთ?
- მაგალითად, აშშ-ის მედიასაშუალებებზე ვისაუბრობ.

- აშშ-ში უამრავი სატელევიზიო არხია, რომელიც მყურებულს მედია პროდუქტს კონკურენტის პირობებში სთავაზობს. მათ შორის გამორჩეული არხები – „დემოკრატია ახლა“, „ფოქსნიუსი“ და „სიენენ“-ი, კერძო მფლობელებისაა, რომლებიც ცდილობენ, დაბალანსებული საინფორმაციო სივრცე შექმნან. ამ არხებზე სარედაქციო პოლიტიკას სააქციო საზოგადოების წევრები აყალიბებენ და ამით არხს პოლიტიკური კონიუქტურისგან იცავენ. თუკი მედია კორპორაციული ინტერესებში ექცევა, დამოუკიდებელი აღარაა. რაც შეეხება „საზოგადოებრივ არხს“, აშშ მოსახლეობისგან ფინანსდება პირდაპირი გადახდის გზით და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სოციალური პროექტი განახორციელოს, ილაპარაკოს მწვანე ეკონომიკაზე, სოციალურ წარმოებაზე.

- ჩვენს „საზოგადოებრივ მაუწყებელსაც“ მოსახლეობა ფინანსებს...
- „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საბოტაჟის ქვეშა და მისი განვითარების გეგმა და სურვილი არაფერს აქვს. ამ არხს არც სოციალური პროექტები აქვს და არც – საგანმანათლებლო პროგრამები.
- საზოგადოებრივი „რუსთავი 2“-ია თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე, მაღალრეიტინგული ტელევიზია.
- რას ნიშნავს „მაღალრეიტინგული ტელევიზია“? დღეს ყურებადი და მაღალრეიტინგული ყვითელი პრესა, ძალადობა და პორნოგრაფიაა. გარდა ამისა, რამდენად ნამდვილად ხდება ამ რეიტინგების დათვა, სხვა საქმეა. რეიტინგებიც მთავრობის ხელშია და ფულიც მიმაჩნია, რომ „რუსთავი 2“ და ბევრი სხვა მედიასაშუალებაც პორნოგრაფიაა! „რუსთავი 2“ არ არის და არც ყოფილა მისი მფლობელი ოლიგარქებისგან და, პირადად, სააკაშვილისგან თავისუფალი ტელევიზია. იგივე ეხება ზოგიერთ კერძო ტელევიზიას.

- სიტყვის თავისუფლებას როგორ მივადინოთ?
- მედიის დემოკრატიზაციისა და სიტყვის თავისუფლებისათვის ყველაზე კარგი ნაბიჯი კერძო ტელევიზიების სააქციო საზოგადოებებად გადაკეთება იქნება, სადაც შურნალისტი და მყოფობები ერთად განსაზღვრავენ სარედაქციო პოლიტიკას და არა – რომელიმე ოლიგარქის, კუხურაშვილი იქნება, ნაყოფია თუ იგივე ივანიშვილი, ნება-სურვილის მიხედვით.

- „ქართულ არხზე“ თოქ-შოუ „ალავერდს“ აკეთებთ. ყურებადია?
- საგანმანათლებლო პროექტია, მაგრამ „ტროლები“ უკვე დაქვემდებარდნენ, დახურვის პირზეა.
- ხანდახან მგონია, რომ ყველა ქართველში დიდი დობი ნაცარქვეია ბუდობს...
- შეიძლება, მაგრამ ცოტაა ისეთი, ვინც ფული ნაცრის ქვევით იშოვა.
- დონ კისოტები დინოზავრებივით გადაშენდნენ, არა?
- არა მარტო დონ კისოტები, შექსპირის ჰამლეტიც გადაშენდა. ჩვენ ჩვენი გველისჩამელის და ვოცოლა, ადამიანები, რომლებიც სწორ გზას ირჩევდნენ, მაგრამ თემი ამას ვერ ხვდებოდა. მიხდება ჭეშმარიტებას ამბობს, რომელსაც ქაჯეთის სამყაროში საკუთარი დოქტორის დიპლომა აქვს მიღებული – ესმის ბუნების ენა და ამ ცოდნას კეთილი მიზნით იყენებს, ცდილობს, ადამიანს მისი მთლიანობის შესაძლებლობა დაანახოს. დღეს თბილისში და მთელ ტექნოკრატიულ საქაჯეთში რკინა-ბეტონის კორპუსებს აშენებენ. დღეს ადამიანობის მგრძობიარე ბუნებას ყველაზე აძლიერებს აბსოლუტურად ცივი და მკვლელი ცივილიზაციის სახელით ქოლავენ. ბერდა სახელმწიფო მეთაურია, ან მთავარი ოლიგარქი, რომელსაც ქვეყნისთვის შეიძლება – ბუნების და ადამიანების მკვლელობას. მიხდება მეომარ-რია, მაგრამ საკვირველია, ამის წინააღმდეგ რატომ უნდა იყოს? ბერდაის თემი მეინსტრიმის ცნობიერებაშია ჩამოვარდა, მაგრამ ეს ცნობიერება მთლიანი ვერაა და ამიტომაც სტანჯავს ბერდაის ეს კითხვები: რატომ არ უნდა ავაშენო ხუდონჯესი, როცა ეს ეკონომიკისთვის კარგია? რატომ არ უნდა ამეფთქებინა საფრისი, როცა ესეც სიმდიდრის მომტანია? რატომ არ უნდა გავაკეთოთ მირზა შაფის პროექტი, როცა ეს ბევრ ტურისტს ჩამოიყვანს? მიხდება ამ კითხვებზე პასუხი გამზადებული აქვს, რაც მხოლოდ მეტაფიზიკური ინტელის შედეგი კი არა, ფაქტობრივი დასაბუთებაცაა. ოღონდ ამ ფაქტობრივი დასაბუთების მისაღებად ადამიანს ცოტა ადამიანური, ჯანმრთელი ემოცია სჭირდება, რომელსაც ბიომოლიტიკის მსახური ქაჯები კლავენ. შეიძლება თავისდაუნებურად, მაგრამ მიხეც კლავენ.

ლექსობა დაანახოს. დღეს თბილისში და მთელ ტექნოკრატიულ საქაჯეთში რკინა-ბეტონის კორპუსებს აშენებენ. დღეს ადამიანობის მგრძობიარე ბუნებას ყველაზე აძლიერებს აბსოლუტურად ცივი და მკვლელი ცივილიზაციის სახელით ქოლავენ. ბერდა სახელმწიფო მეთაურია, ან მთავარი ოლიგარქი, რომელსაც ქვეყნისთვის შეიძლება – ბუნების და ადამიანების მკვლელობას. მიხდება მეომარ-რია, მაგრამ საკვირველია, ამის წინააღმდეგ რატომ უნდა იყოს? ბერდაის თემი მეინსტრიმის ცნობიერებაშია ჩამოვარდა, მაგრამ ეს ცნობიერება მთლიანი ვერაა და ამიტომაც სტანჯავს ბერდაის ეს კითხვები: რატომ არ უნდა ავაშენო ხუდონჯესი, როცა ეს ეკონომიკისთვის კარგია? რატომ არ უნდა ამეფთქებინა საფრისი, როცა ესეც სიმდიდრის მომტანია? რატომ არ უნდა გავაკეთოთ მირზა შაფის პროექტი, როცა ეს ბევრ ტურისტს ჩამოიყვანს? მიხდება ამ კითხვებზე პასუხი გამზადებული აქვს, რაც მხოლოდ მეტაფიზიკური ინტელის შედეგი კი არა, ფაქტობრივი დასაბუთებაცაა. ოღონდ ამ ფაქტობრივი დასაბუთების მისაღებად ადამიანს ცოტა ადამიანური, ჯანმრთელი ემოცია სჭირდება, რომელსაც ბიომოლიტიკის მსახური ქაჯები კლავენ. შეიძლება თავისდაუნებურად, მაგრამ მიხეც კლავენ.

- ამ კითხვებზე პასუხი ბერდასაც აქვს...
- ჩვენ ხომ ქაჯისაც უნდა გვესმოდეს – მასაც ეშინია საკუთარი ხელფასის დაკარგვის. ამაშია მიხდას გენია.

მსოფლიოს ტექნოკრატიული სამყაროს მრავალი პოლიტიკური ლიდერი, იმის ნაცვლად, რომ ხალხსა და სამყაროს ჰარმონიას ემსახურებს, საკუთარი კარიერული შიშის გამო, სწორედ იმ ქაჯთა სამეფოს ემსახურება, რომელიც უმნიშვნელო ბუნებასა და ადამიანს ანადგურებს.

ბატონი ლარიაშვილიც ქაჯეთის ნებსითი თუ უნებლიე წარმომადგენელია. საკუთარი თანამდებობის, ან ხელფასის დაკარგვის ეშინია და ამიტომაც არჩევს, რომ თავისივე კახელ გლეხებს ყურძენი ააჩიხონოს, საყრდისი ააფეთქოს, ხუდონი ააშენოს, გინდაც ეს მთელი საქართველოს განადგურებით გვემუქრება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მოხსნა. უბრალოდ, იმას ვერ ბედავს, რაც მიხდას გაბედა და რასაც მიხდა გაბედავს.


დღევანდელი ტექნოკრატიული სამყაროს მეტაფიზიკალიზაციული ლიდერებს პირზე სიტყვა „ეკონომიკა“ აკერიათ, მაგრამ იმას არ ახალიზებენ, რომ ეკონომიკის უკმარისობის გარდა, არსებობს სულიერი ჰარმონიისა და სამყაროსთან შერწყმის ეკონომიკა.

21-ე საუკუნეში მოღწეულმა უძველესმა ერმა ენერჯია ვენციის კომისიის დასკვნებსა და სინგაპურის მისაბაძი პროექტების დამუშავებაში კი არ უნდა დახარჯოს, იანიჩრებად და მამულელებად კი არ უნდა იქცეს, არამედ, მსოფლიო ცივილიზაციისთვის მიმზიდველი ახალი მრავალმიანი „მრავალფეროვნება“ და „ჩაქრული“ უნდა შეექმნათ.

საქართველოში, ამ გაუგონარ სოციალურ უსამართლობაში, გველისჩამელის სწორედ იმიტომ მოდის, რომ ჩვენი სამყარო უწყალო, მშრალი სიკვდილისგან დაიცავს და ბუნებაში გავითიანდეთ და შემოქმედს შემოქმედის ენაზე ველაპარაკოთ. დღეს საქართველოში მიხდას გენებმა ისე გაილიკვინ და გეგმისმკამელი ისევე მოდის, რათა თვალის აგვიხილოს ჩვენს არასწორ ცხოვრებაზე. ვიცით, რომ ის მართალია და უცილობლად გაიმარჯვებს ისტორიის სამსჯავროზე.

- ირაკლი, ისევ არჩევნებისთვის ვემზადებით, ისევ „ციხის კადრებზე“ ვტრიალებთ...
- 2016 წლის არჩევნებზე ხალხმა თვითონ უნდა შექმნას ახალი ძალა, რომელიც ამ საშინელი ნეოლიბერალური რეჟიმის დამცველი ორივე ჯგუფს პოლიტიკურ პენსიაზე გაუშვებს. ეს ჯგუფები კოლექტიურად ლუპავენ ქვეყანას და მონობის უღელში აგდებენ. ჩვენ ფული არ გვაქვს, ჩვენ არც ტექნოკრატი პოლიტიკოსები ვართ და არც ვაპირებთ, რომ პოლიტიკოსები ვიყოთ, მაგრამ ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს აუტანელი და გაუსაძლისი მდგომარეობა. აღარ შეიძლება ამდენ ხანს ქურდების, ყაჩაღების, სადისტებისა და მკვლელების ყურება. ხალხმა თვითონ უნდა აილოს ძალაუფლება ხელში!

ესაუბრა ნათია ზუზინიძე



საქართველო
საქართველო

მსაჯობა

ჩანაწერები, რომელთა გამოქვეყნებამ სამართალდამცავებს საფუძველი მისცა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის საქმე აღეძრა, ცნობილი უკრაინელი მილიონერის, კოლომოსკის გავრცელებულია, — ასეთ დასკვნას აკეთებს ექსპერტი ვახტანგ მაისაია მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ ორი დღის წინ, კოლომოსკის პირადი თანაშემწე ყოველგვარი ბრალდების გარეშე დააპატიმრეს, უფრო სწორად, მიველა იყვანეს. რაც შეეხება ჩანაწერის ავთენტურობას, რომელიც საუბრის სამივე მონაწილემ დაადასტურა, აქაც კოლომოსკის ხელი ურევია, — მაისაიას ინფორმაციით, უკრაინელმა მილიონერმა ჩანაწერის დედნების ექსპერტიზა უკვე ჩაატარა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც აქვს. „ამიტომ სააკაშვილ-ბოკერია-გვარამიას სამეულს, პრაქტიკულად, ყულფი ჩამოაცვეს და იძულებული გახადეს, ჩანაწერის ავთენტურობა დაედასტურებინა“, — მიიჩნევს ვახტანგ მაისაია.

ვინ ჩანერა სააკაშვილ-ბოკერია-გვარამიას საუბარი

ვახტანგ მაისაია საქართველოს საგარეო აფაირთა მინისტრის პირველი vice-პრეზიდენტი

„კოლომოსკის განცხადებით, მის მიერ მოხდენილი იქნა ჩანაწერის გასაუქმებელი ნაწილის გამოცხადება. მას საკმარისი არაა, სააკაშვილის მიერ მოხდენილი იქნა ჩანაწერის გასაუქმებელი ნაწილის გამოცხადება. მას საკმარისი არაა, სააკაშვილის მიერ მოხდენილი იქნა ჩანაწერის გასაუქმებელი ნაწილის გამოცხადება. მას საკმარისი არაა, სააკაშვილის მიერ მოხდენილი იქნა ჩანაწერის გასაუქმებელი ნაწილის გამოცხადება.“



ბატონო ვახტანგ, სააკაშვილმა უკრაინაში, გორგოლაში ვაშაძემ კი საქართველოში განაცხადა, რომ ჩანაწერები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა, რუსეთმა გააკეთა და საქართველოს ხელისუფლებას არქუქა. რუსულ კვალს თქვენც ხედავთ?

— „ნაცმოდრაობის“ ლიდერებისაგან ასეთი განცხადებები აღარავინ უყვრის. ამას „ბურატინოს სინდრომი“ ჰქვია და ამ სინდრომით დაავადებულ ადამიანებს ყური რამდენად უნდა დაუგდოთ, ცალკე საუბრის თემაა. ისე, „ბურატინოს სინდრომი“ ქართულ პოლიტიკაში ახალი ტერმინია.

და მინც, რა სინდრომია?

— ვიცით, რომ არსებობს ბურატინო და პინოქო. პინოქოს ყოველ ტყუილზე ცხვირი ეზრდებოდა, ბურატინოს ისედაც გრძელი ცხვირი ჰქონდა, ჭკუა კი, — საერთოდ არა. ის სულელების ქვეყნის იდეალისტიკა და ჰგონია, რომ ძალიან ჭკვიანია. სინამდვილეში კი, მასზე სულელი ქვეყანაზე არავინაა. ასეა ზღაპრის ფაბულის მიხედვით, თუმცა ბოლოს, ბურატინო მინც გამოისწორდა.

ამათი „ზღაპარი“ როგორ დამთავრდება?

— ჩვენ რეალობაში ვართ და თუ ზღაპარში ბურატინო გამოისწორდა, რეალურ „ზღაპარში“ მათ გამოისწორებას პირი არ უჩანს.

რაც შეეხება ფარულ ჩანაწერებს, 31 ოქტომბერს გაიფლერა საინტერესო ინფორმაცია, რასაც ყურადღება არავინ მიაქცევდა. კვიცში, ყოველგვარი ბრალდების გარეშე, ცნობილი უკრაინელი პოლიტოლოგისა და პოლიტიკოსის, ოპოზიციური ჯგუფის ლიდერის, კოლომოსკის თანაშემწე დააპატიმრეს. გასაგებია, თუ როგორ გადაუხადეს სამაგიერო სააკაშვილის გამო და ეს პორთფელის დაჯგუფებამ გააკეთა. ისე, უკრაინაში 4-5 დაჯგუფებაა, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძვის.

კოლომოსკი, უკრაინის მმართველი ძალისაგან განსხვავებით, მართლაც, ქვეყნის პატრიოტი და დიდი მეცენატი. ყველაფერს თავი რომ დაუვანებოთ, კოლომოსკი ის ადამიანია, ვინც „მიდიანის მოკლეცხვირი“ დიდი წვლილი შეიტანა, სხვათა შორის, მათგან განსხვავებით, ვინც თავი მერე გამოყო. კოლომოსკი ყირიმსა და დონბასში პირველი აღუდგა წინ რუსულ აგრესიას. დღეს კი, ახლადგამოჩენილი უკრაინელი ვაიპოლიტიკოსები უპირისპირდებიან, რადგან როგორც ცნობილია, რეგულაციების ინსტრუქციები, აგრძელებენ ზომიერებას და შედეგს იმეორებენ, როგორც რუსები ამბობენ, „პრახანდისმანი“. დღეს უნდა იქნას, რომ კოლომოსკი მონსტრად გამოიყვანონ. აქედან გამომდინარე, გასაგებია გახდა, რომ კოლომოსკის რა არ აპატიეს — მან მიხეილ სააკაშვილი ყურებით გამოიჭირა და გამოამწყლავა, რომ ცდილობდა, საქართველოში პოლიტიკური გადატრიალება მოეხდინა. საუბარია სამხედრო გადატრიალების ელემენტებზეც.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ კოლომოსკი გასამხედროებული სამხედრო ფორმირებების ფარული სპონსორია და ეს უკრაინის კანონმდებლობით არ იკრძალება. მას საკმარისი მალაღობის კერძო სპეცსამსახური აქვს, ვისი საშუალებითაც შეძლო, მიხეილ სააკაშვილის საუბარი, მიყურადების შედეგად, დაეფიქსირებინა, რაც უკრაინის კანონმდებლობით, ასევე, აკრძალული არაა. კადრებიც, რომლებიც მანამდე უკრაინულ საიტზე აიტვირთა, კოლომოსკისგან მოდის, რომელიც „ვიკილიქსს“ გადასცა.

„ვიკილიქსი“ არაა მოგონილი საიტი.

ის ძალიან გავლენიანი და ცნობილი საიტი საგამოძიებო შერაღებისტიკის სფეროში. ეს ოფიციალური საიტი და ძალიან დიდი როლი მიუძღვის აშშ-ის სპეცსამსახურების შიხაბელი მხარეების, ასევე, რუსეთის პოლიტიკური ძალების კანონგარეშე საქმიანობის გამოვლენის საქმეში. ის ყველას უპირისპირდება, სადაც მალაღობა პოლიტიკური კორუფცია და საერთაშორისო დონის უკანონობაა.

„ნაციონალებმა“ თქვეს, რომ საიტი, რომელზეც წამების ფაქტები გამოქვეყნდა, ახალი დარეგისტრირებულია...

— ამის ვინმეს კიდევ სჯერა? „ვიკილიქსს“ ჰყავს თავისი მონონალმდეგები, მაგრამ ბევრ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს და ცუდი არ იქნება, მისი წარმომადგენლობა თუ საქართველოშიც შეიქმნება — ბევრ პროცესს კალაპოტში ჩააყენებს. რადგან ამის გამო კოლომოსკის უახლოესი ადამიანი დააკავეს, ეს პრაქტიკულად, მძევლის აყვანას ნიშნავს, რაც კარგად მიუთითებს, ვინ დგას ყველაფერ ამის უკან.

ანუ, ამ საქმეში ჩვენი ხელისუფლების აქტიურობას გამოიცხადებ?

— რა თქმა უნდა. ჩვენი ხელისუფლება ისედაც ამ საქმეში გარეული, როგორც მე ვარ ტიანშანის დამპყრობი.

საქართველოში თუ არის იმის ფონი, რომ სააკაშვილმა დესტაბილიზაციის დანერგვა შეძლოს?

— ეს სასაცილოა! სააკაშვილს სერიოზულად თავისივე მომხრეები აღარ აღიქვამენ! ის, თავისი ბუნებით, არასერიოზულია, რაც კარგად, თუნდაც, იმითაც ჩანს, რომ პარტიაშიც ნაკლები რეიტინგი აქვს — ოთხ-ეული გაეცა, რომელიც მათივე გათვლებით, დასახარებელი ძალა უნდა ყოფილიყო. როგორც თავის დროზე ლეგ ტროცკიმ „გარეკა“, ასევე სააკაშვილიც, თუმცა ამ ორს ერთმანეთს მაინც ვერ შეადარებ, რადგან ტროცკის ჭკუა მაინც ჰქონდა. ისე, ორივეს საერთო ნიშანი ისაა, რომ ორივე სისხლისმსმელი ტირანია. დღეს სტალინს ბევრი აძაგებს. მისი ადვოკატი ვერ და არც ვიქნები, მაგრამ დადებითი მომენტია ისტორიაში: მსოფლიოს ორი სისხლისმსმელი ტირანი — ტროცკი და ჰიტლერი მოაცილა.

ტროცკიმ ახალი ტირანული იდეოლოგია — ლიბერტალიზმი შექმნა. ეს ისეთივე ტიპის აგრესიული და ტოტალიტარული იდეოლოგიაა, როგორც ფაშიზმი. რომ არა ბოლო დროს განვითარებული პროცესები, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პინო-

ჩეტისულ ტირანის მივლებდით, რასაც მხოლოდ ამერიკელი ლიბერალური ღირებულებების პარტიაში გადაგვარდინა. გავისხნოთ, თუნდაც, აშშ-ის წინა ელჩის ჩარევები, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციის უშუალო მითითებით ხდებოდა. არადა, სააკაშვილი ძალიან უპირისპირდებოდა იმ ძალას, რომელიც დღეს აშშ-ში მმართველია. მისი ტერმინი — „იდოტები“ სწორედ სახელმწიფო დეპარტამენტისკენაა მიმართული... ლოგიკა, მგონი, გასაგებია.

თუ არ არსებობს რესურსი, რომ სახელმწიფო გადატრიალება განსორციელდეს, სამართალდამცავებმა, როგორც იტყვიან, ჭიქაში ქარიშხალი რატომ ატყვებს? ისე, მგონია, რომ 31-ე მუხლი დანერგული გამოძიება მალე თარიღზე შემოივდება...

— პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუკი ირაკუნი ბათიაშვილი და ეშბარ კვიციანი იგივე მუხლით, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის გაასამართლეს, ესენი რატომ არ უნდა გასამართლდნენ? ირაკუნი ბათიაშვილმა მხარი დაუჭირა თავის მეგობარს — რა არის ამაში ცუდი?

კვიციანი სახელმწიფო გადატრიალებას არ გეგმავდა?

— რომ არ გეგმავდა, მაშინ გამოჩნდა, როცა ეშბარ კვიციანმა ქვეყანა ისე დატოვა, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწია, თუმცა ამის უფლება ჰქონდა, რადგან კოდორში ოქრუაშვილის ასვლა არაკანონიერი იყო. როგორ დაიცვას კოდორი ახალელებმა, მერაბიშვილებმა და სააკაშვილებმა, აგვისტოს ომში გამოჩნდა. იქ კვიციანი და „მონადირე“ რომ ყოფილიყვნენ, კოდორი დღესაც ჩვენი იქნებოდა. ისტორიამ დაამტკიცა, რომ იმ პერიოდში კვიციანი მართალი იყო. მიუხედავად ამისა, განერიდა.

და ნავიდა რუსეთში, რის გამოც ბევრი კითხვის ნიშანი გააჩნია...

— დიას, მაგრამ არ აღმოჩნდა რუსული ძალების გავლენის ქვეშ. ის რუსებმა ვერ გამოიყენეს და რუსეთში ისეთივე გაჭირვებაში ცხოვრობდა, როგორც — ნებისმიერი ქართველი: მშენებლობაზე მუშაობდა, რომ ოჯახი ერჩინა.

რაც შეეხება ამ შემთხვევას, ჩანაწერიდან ჩანს, რომ ნამდვილად იგეგმებოდა გადატრიალება — დაღვარეთ სისხლი, გამოიყენეთ „ბოევიკები“ და ასე შემდეგ. ისიც ჩანს, რომ სააკაშვილი ისე ელაპარაკება „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს, როგორც თავის ხელქვეითს. გვარამია პირდაპირ

სთხოვს სააკაშვილს, ფული მომეცო. აქედან ჩანს, თუ რა ძალები დგას ტელევიზიის უკან და ვინ აფინანსებს.

ბოკერია-გვარამიას ჩანაწერის ავთენტურობა რატომ დაადასტურეს?

— ეს ძალიან საინტერესო მომენტია. მათ იცოდნენ, რომ ამ ჩანაწერების ორიგინალები კოლომოსკის აქვს. ამ სამეულს ინფორმაცია რომ ჰქონოდა, ჩანაწერები ქართულმა კონტრდაზვერვამ მოიპოვა, იტყვია, მონტაჟი. კოლომოსკის იმის დოკუმენტაციის ექნება, რითაც ავთენტურობას დაამტკიცებს, ამიტომ სამეული, პრაქტიკულად, ყულფე წამოაგვს.

ამ ამბებზე გვარამიამ განაცხადა, რომ ჩანაწერების გამოქვეყნებით აშანტაჟებდნენ...

— გვარამია რას იტყვის, ნაკლებად მნიშვნელოვანია. გავისხნოთ, რას ლაპარაკობდა 2007 წლის ნოემბერში. ვინდათ, ახლა დავუჯეროთ? არ გათეთრდები ყორანო, ხომ გაგიგიათ?!

რას უნდა ველოდოთ?

— საკმარისი რთული სიტუაციაა, რადგან საქართველოზე დიდ გავლენას ახდენს გეოპოლიტიკური პროცესები. თუ 2012 წლის არჩევნებზე საგარეო პოლიტიკური ფაქტორები მინიმუმამდე იყო დაყვანილი, დღეს ეს დომინანტი მომენტია. 2016 წლის მთავარი თემა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და პრიორიტეტები იქნება. ამას თუნდაც ის პროცესი განსაზღვრავს, რომ ახალი ცივი ომი დაიწყოს. ნეიტრალური პოზიცია არ გამოვა: ან აქეთ უნდა იყო, ან იქით.

მერე, ჩვენ საით ვართ?

— რა ტენდენციებია, ჩანს. ევრაზიული მიმართულების მომხრეთა რაოდენობა საშინო ტემპით უთანაბრდება ევროპის მომხრეთა რაოდენობას — პოლიტიკაში გამოჩნდა რამდენიმე ძალა, რომელიც დაუპირისპირდა დასავლეთს. ასევე, საქართველოში თავის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტად აირჩია ჩინეთი, რაც ფინანსური თვალსაზრისით და ინვესტიციების მოზიდვისთვის კარგია, მაგრამ გადავხედოთ, რომელი პოლუსზე მდებარეობს ჩინეთი. გავისხნოთ იგივე ჩინეთ-რუსეთის სტრატეგიული ალიანსი და აქედან გამომდინარე, მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, შენ ვინ ხარო.

სად არის ამ დროს დასავლეთი?

— დასავლეთიდან არაორდინალური მეხიჯები მოდის... ნატოს ვარშავის სამიტზე საქართველოს საკითხი საერთოდ არ განიხილებს. მანის მიღების პროცესში შეჩერებულია. ნატო-სთვის მნიშვნელოვანი ბალკანეთის ქვეყნებია. ვიდრე ბალკანური თემა არ დაიხურება, ნატოს გაფართოების საკითხი ნაკლებად განიხილება.

გარდა ამისა, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია უკვე „ოქოლი იხვია“ — მოგესხნებათ, ასეთი ტერმინიც არსებობს. ის, პრაქტიკულად, ნასულისა, სერიოზულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ამიტომ, საქართველოს ნატო-ში განხილვისთვის დაკავშირებული საკითხი, ავტომატურ რეჟიმში, შეიძლება, ამ ტექნიკური მიზეზის გამოც გადაიწიოს და ეს 2018 წლის სამიტზე განიხილოს.

მანამდე რა იქნება?

— მანამდე მსოფლიო პოლიტიკაში რა მოხდება, არავინ იცის. გუშინ პატრუშევმა გააკეთა შემოფარებული განცხადება, რომ პოსტსაბჭოთა სფეროში ამზადდებენ ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს და ამაში რამდენიმე ქვეყანა ჩართულია, რაც თურმე, რუსეთის ინტერესების წინააღმდეგაა. გასაგებია, პატრუშევმა რაც იგულისხმა. ჩვენთან ლუგარის დავალებების კონტროლის ცენტრია, რომელიც საქართველოს საკუთრებაა და იქ ვირუსული ინფექციების სანინაღმდეგო კვლევები მიმდინარეობს. რუსეთი ნებისმიერ, თუნდაც მოგონილი ფაქტორსაც იყენებს, რომ თავისი საგარეო პოლიტიკური ზეგავლენა რამენაირად გააძლიეროს. აქედან გამომდინარე, იმდენად დაძაბული სიტუაციაა, რომ ახალი „ცივი ომის“ განვითარების პარალელურად, ჩვენ წყალგამყოფ ზოლში მოვხვდით, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის ინტერესებს შორის გადის. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი გადაქაჩვა მოხდება აქეთ-იქით. ამაზე კი არავინ საუბრობს და არც ფიქრობს.

ესაუბრა ნათია შერაძე

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე!“

კარნეგ ლინჩი

სანიწორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მისამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტიკის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამატურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აპრისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჭებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,


2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55

ტელ.: 2960104

tbuniver.edu@gmail.com



„თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი“
აცხადებს
სტუდენტთა
მიღებას
პროფესიული
პროგრამების
ფაკულტეტზე:

საგარეო

ადამიანის წამებისა და შეურაცხყოფის ადვოკატების საზოგადოება ისევ წაღვარდა და ალაშქრობა. „ეს არის სასირცხვილო წარსული, რომელსაც გამოძიებით უნდა დავესვათ წერტილი, დავამთავროთ და დავტოვოთ წარსული“ – განაცხადა „თავისუფალი დემოკრატიების“ წარმომადგენელმა ირაკლი ჩიქოვანმა...

ქალბატონო ლალი, უკრაინულმა საიტებმა ადამიანის წამების და არაადამიანური მოპყრობის კადრები გაავრცელეს. როგორც ჩანს, ამას დასასრული არ უჩანს. იზიარებთ მოსაზრებას, რომ წარსული უნდა დავივინყოთ და ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყოთ?

ეს სირცხვილი კი არა, უსასტიკესი დანაშაულია, რომლის ჩამდენებიც უმკაცრესად უნდა დაისჯონ! „ნაციონალები“ სირცხვილია და დანაშაულს განა, ვერ ანსხვავებენ, მაგრამ სირაქლემას პოზაში დგებიან და პასუხისმგებლობის საშიშროებას გაურბიან.

საერთოდ, ამა თუ იმ დანაშაულს რა ხანდაზმულობის ვადა აქვს? საქმეს გააჩნია. მაგალითად, სამოქალაქო და ქონებრივ დავებზე ვადა არსებობს, სისხლის სამართლის საქმეს კი, ვადა არ აქვს, მაგრამ აქვე დავქონ, რომ დაზარალებული გულგულდარევი არ უნდა იჯდეს და ელოდოს, სამართალი კარზე როდის მიუჯაკუნებს.

უნდა იბრძოდეს, მტკიცებულებები მოიპოვოს და პროკურატურაში სარჩელი შეიტანოს.

ბევრმა ხელი ჩაიქნია, ჩივილს აზრი არ აქვს...

დაზარალებულებს მივმართავ: ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს. ცხრა წლის განმავლობაში, წინა ხელისუფლებამ ყველა სახელმწიფო და სამართალდამცავი სტრუქტურა მოშალა და თავის თავზე მოირგო. ბევრს ახსოვს, 2012 წლის არჩევნების მერე, თბილისის მიმდებარე ტყეებში როგორ ინვოდა დოკუმენტაცია, როგორ ნადგურდებოდა მტკიცებულებები, რომელთა ხელახლა მოპოვებაც შეუძლებელი, ან ძალიან ძნელია და სამართალდამცავი ორგანოები რა გენიოსებითაც უნდა იყოს დაკომპლექტებული, საქმეების გახსნა რთულდება. თუკი „ნაციონალებივით“, სამხილები შემიკერესო, – ასეთი სამართლიანობის აღდგენა არ მჭირდება, თუმცა ვხედავ, რომ პროკურატურა აქტიურად მუშაობს.

ქვეყანაში 400 ათასი პატიმარი გვყავდა, მათ უკან ოჯახის ერთი წევრი მაინც იდგა, ამას ემატება ნაცნობ-მეგობრები, მეზობლები, ადვოკატები. აი, რამდენმა ადამიანმა იცოდა, რომ ციხეებში არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. მიხეილ სააკაშვილმა მთელ მსოფლიოში თავი მოგვეჭრა – ქართველი ერი კრიმინალად მონათლავდა. ყველა მაღალი დონის შეხვედრაზე დასავლეთის სტრუქტურების მაღალჩინოსნებთან, ექსპრეზიდენტის რანგშიც, საქართველოში არსებულ კრიმინალზე საუბრობს. ევროპაში ჩვენზე ნაკლები დამნაშავენი და კრიმინალები ჰყავთ? – სერიული მკვლელები, ნარკომოვაჭრები, ტერაქტების ორგანიზატორები, მაგრამ გინახავთ, ევროპელი მეთაურები მსოფლიოში დარბოდნენ და საკუთარ ერს კრიმინალად რაცხავდნენ?! მიხეილ სააკაშვილი კი ამას აკეთებს!

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ „თავის მოჭრის“ პოლიტიკას რას უპირისპირებს?

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, – არაფერს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა ვიმოქმედოთ.

როგორ?

იმ 400 ათასი დაკავებულისა, 80% ხომ უდანაშაულო იყო? ყველა დაზარალებულმა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება, ღირსებისა და პატივის შელახვისთვის ბრძოლა უნდა სცადოს.

წინა ხელისუფლების დროს ამბობდნენ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსკენ ტომრებით საქმეები მიდიოდა. იმ ფონზე, როცა სააკაშვილი საქართველოს კრიმინალების და პოტენციური კრიმინალების ქვეყნად აცხ-

„ყველა თავის ჭუჭყიან თითრეულს მიხედოს!“

ლაშქარებს, რომელთაც არც იციან, რუკაზე საქართველო სად არის, თავი შეიკავონ ალშოთეობა-შეშოთეობისგან.

– ისე, თავის დროზე „იმედის“ დარბევის ერთ-ერთი საბაზი სწორედ ფარული მოსმენები გახდა...

– არა მარტო ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის საბაზი. არ მახსენდება ევროპარლამენტის დელეგაციების აღშოთეობა, როცა იგორ გიორგაძის მომხრეებს აპატიმრებდნენ. მათი დაკავებისთვის ფარული მოსმენები კი არ ჰქონდათ. მაშინ ვახტანგ ტალიაძეს ვიცავდი, მოდულის შენობასთან ველოდებოდი მოვლენების განვითარებას. დაეკვირდი და უკან გაეყვი მანქანას, მაინტერესებდა, დაკავებულები ასე მალ-მალე საიდან მოჰყავდათ და ყველაფერს პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ. აღმოვაჩინე, რომ მოდულის შენობასთან, ძველი ტროლეიბუსების გარაჟში, კუბოების სააქროში დამწყვედული ჰყავდათ ე.წ. შეთქმულების მონაწილეები და მანქანაში ნაწილ-ნაწილ ყრიდნენ. ასეთი იყო „ნაციონალების“ სამართალი.

ქალბატონო ლალი, როგორ ფიქრობთ, „ოცნება“ „ნაციონალების“ პროვოკაციას ხომ არ წამოეგო?

– მთავრობა არაფერზე წამოეგო, არ მჯერა, რომ განცხადებას უკანონო მოსმენებზე მოუსყიდავი ევროპარლამენტარები აკეთებენ. აქვე, გივიტსენებ „ნაციონალები“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით დარჩიაშვილის რამდენიმე თვის წინ გაკეთებულ გან-

„ნაციონალურ მოძრაობას“ დიდი კავშირები ჰქონდა, რასაც დღევანდელი ინარჩუნებს. ახლახან, ბავრიულად ინფორმაცია, რომ ევროსაბჭოს 13 დელეგატი „რუსთაველი“ 2-ს მხარდაჭერას უცხადებს. დარწმუნებული ვარ, მათ უკან სააკაშვილის ბავრიულნი იმყოფები. დღეს გიბა ბოკერია ფარულ მოსმენებზე ლაპარაკობს, ძველხანს გადატრიალებას აპირებენ და მოსმენაც ალარ უნდათ? რა თქმა უნდა, ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს, მათ საუბარს ვინ ისმენდა და იყო თუ არა ის რთული პროცედურა გავლილი, რაც ფარულ მოსმენებზე ნებართვის გაცემას ეხება. „ნაციონალები“ უკვე მსოფლიოს გასაგონად აცხადებენ, რომ მთავრობა უკანონოდ უსმენს. ჯერ ის გაარკვიონ, უკრაინული „ვიკილიკსი“ უსმენს თუ საქართველო და მერე ილაპარაკონ, მაგრამ ფაქტია: 13 აღმშენებელი ევროპარლამენტარი, „ნაციონალების“ ხელშეწყობით, ჩვენი ქვეყნის გასაღიხად ემზადება. იცით, რას გეტყვით? – სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში ცხვირს ნუ ჩაყოფთ! სადაც კრიმინალი იკვეთება, იმას ჩვენი სამართალდამცავები მოუვლიან. კაბინეტებში მსხდომმა ევროპარ-



ლალი ავციასური: „ნაციონალებს“ ბევრი ევროპელი მოხელე შენტაჟზე ჰყავთ წამოგებული!

გაგრძელება 80-15 გვ.

ვარლამ ლიპინი



საქართველო

ნაქვედები. კოლეგია

სამართალი

მე-14 გვირგვინი

ვერ შეასრულა. „ოცნებას“ დანაპირების შეუსრულებლობაზე პასუხი არ მოეთხოვება?

— კონკრეტული საქმეების გამო კონკრეტული ადამიანები უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ. დღევანდელი ხელისუფლების სისუსტე საკადრო პოლიტიკაა, მაგრამ სტრუქტურებში ძალიან ბევრი „საბოტაჟნიკია“.

— „საბოტაჟნიკები“ სამსახურებიდან რატომ არ გაუშვებს?

— მათი გამორჩევა ძნელია. მაშინ ყველა იმ სისტემური დანაშაულის მონაწილე იყო და, როგორც იტყვიან, მთელი სისხლი დაგეცალა და ყველაფერი თავიდან დაგეწყო, რაც ადვილი არაა, თუმცა ხელისუფლების მიმართ შენიშვნა მაქვს: მიმაჩნია, რომ არ ცდილობს, ქვეყანაში არსებული რესურსი — ჭკვიანი ხალხის რჩევა გამოიყენოს, ხალხს მოუსმინოს. მთავრობა, რომელიც მოსახლეობას არ უსმენს, წააგებს.

— ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია, „ოცნების“ ხელისუფლება წააგებს?

— არა. მე, როგორც ერთი ადამიანი, ყველაფერს ვაკეთებ, რომ არ წააგოს. „ნაციონალები“ — საკმაოდ ჭკვიანი, ინტელექტუალური ნაძირლები, დიდი ფულის პატრონები, დიდი კავშირებით, თავისას არ იშლიან... შსს-ს თანამშრომლები დღესაც ამბობენ, რომ სისტემას ვანო მერაბიშვილისნაირი ყურადღებებიანი და მზრუნველი მინისტრი არ ჰყოლია. თუ ხელისუფლება ასეთ დამოკიდებულებას შეისისხლობს, კარგი იქნება და არჩევნებზეც წაადგება.

— ხალხს აინტერესებს, რატომ ვერ ახერხებს სასამართლო გამამტყუნებელი საბოლოო განაჩენის დადებას ახალაიას, მერაბიშვილის და უგულავას საქმეებზე?

— ნაწილობრივი გამამტყუნებელი დიდი, აბა, ციხეებში რისთვის სხედან? ამ დღეებში ვაზაგაშვილის საქმეზე მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა დადო ისეთი დასაბუთებული განაჩენი, რომელსაც ერთი მოსამართლედ ძვრას ვერ უყვება.

— ქალბატონო ლალი, კეზერაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნის პასუხად, საფრანგეთის სასამართლომ თავის დროზე უარის მიზეზად ბრალდების დაუსაბუთებლობა და პოლიტიკური ელფერი დაასახელა. როგორც მითხრეს, საქართველოდან იმდენად უსუსური დოკუმენტაცია გაიზავნა, რომ სხვა შედეგს ვერ მივიღებდით.

— კეზერაშვილმა და ბევრმა სხვამ, ვინც საქართველოს საზღვარი დატოვა, შესანიშნავად იცოდა, რომ მთავარია, ევროპაში მოხვდე, იქიდან ექსტრადიცია კი ურთულესი პროცესია. ყველას კარგად გახსოვთ 2010 წლის თურაინის არჩევნებისას გაკეთებული გივი თარგამაძის ცნობილი ფარული ჩანაწერი, როცა იგი დიდრევასთან იმუქრებოდა და ქურდებს საშველად უხმობდა. მის ინტერესებში შედიოდა ერთი პიროვნების ევროპიდან ჩამოყვანა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში „ნაციონალების“ მთელი სანაცნობო ჩართო.

— კეზერაშვილის დოკუმენტების გამგზავნის „საბოტაჟი“?

— დეტალები არ ვიცი, საფრანგეთში რა დოკუმენტაცია გაიზავნა, სავარაუდოდ, სუსტი უნდა ყოფილიყო, რახან ასეთი შედეგი დადგა. ინტელექტუალმა ნაძირალა „ნაციონალებმა“ კარგად იცოდნენ, რომ არჩევნებს აგებდნენ, ამიტომაც ყველა მტკიცებულება გაანადგურეს.

— „ნაციონალების“ მტკიცებით, ყბადაღებული „ცინის კადრები“ დადგმულია და სინამდვილეში, ციხეებში, მსგავსი არაფერი ხდებოდა...

— რამდენიც უნდათ ილაპარაკონ, იმის შესახებ, რაც ციხეებში ხდებოდა, 400 ათასმა პატიმარმა, მათი ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა იცოდნენ. გიგა ბოკერიას სად წაუყა იმ ფაქტებს, რაც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთა საქმეებში იხანება?! თავად ალიარებენ, რომ სირცხვილი იყო. ვიმეორებ, ეს სირცხვილი კი არა, დანაშაულია, რაზეც „ნაციონალისტთა“ პასუხს, ადრე თუ გვიან, მწარედ აგებს!

ესაუბრა ნათია ვერძოძე

ჩვენებურები

სამედიკოზო დაბრუნებული ყოფილი ემიგრანტები ისევ უცხოეთში ბარბიან?! რას ნიშნავს „თეთრი პასპორტი“



რას ნიშნავს „თეთრი პასპორტი“

ყველა მათგანის ისტორია თითქოს ერთმანეთს ჰგავს: ქვეყნიდან იმიტომ წავიდნენ, რომ ოჯახის წევრი ფიზიკურად გადაერჩინათ, შვილისთვის კარგი განათლება მიეცათ ან, თუნდაც თვითონაც გადარჩენილიყვნენ. ვალი აიღეს, ბევრმა მათგანმა დახურული მანქანის საბარგოში რამდენიმე დღე გაატარა, დიდი ფიზიკური და სულიერი ტკივილი განიცადა, მაგრამ იმედი ჩაიკრია უცხო ქვეყანაში, სადაც, როგორც თვითონ ამბობენ, სულაც არაა დალხენილი ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, მათთვის, ვინც საქართველო, პირდაპირი მნიშვნელობით, გადაარჩინეს. ისინი ყველგან არიან — აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა თუ საბერძნეთში, განსაკუთრებით, მეზობელ თურქეთში.

ემიგრანტების თემა ბოლოს ისევ გააქტიურდა... საავსტრალიის ხელისუფლებამ, მოსკლისთანავე, მოუწოდა, დაბრუნებულიყვნენ და ენერჯია საკუთარ ქვეყანაში დაეხარჯათ, მაგრამ მიზანს რომ არაფერი გამოუვიდა, საელჩოების დონეზე გასცა განკარგულება, ემუშავათ, რათა ქვეყნებს, რომლებიც ათასობით ქართველ ემიგრანტს ასაქმებდა, ქართველები დეპორტირებულიყვნენ. ბევრი ასეც მოიქცა და ამაზე წინა ხელისუფლებას ხმა არ ამოუღია, თუ არ ჩავთვლით რუსეთის შემთხვევას, რომელმაც ერთიანად მოუყარა თავი არალეგალად მყოფ ქართველებს და სატივროთ თვითმფრინავით გამოგვიგზავნა. მაშინ რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ.

რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, თითქოს სრულიად დაავინწყდა, რომ სადაც, შორს, შორულ ქვეყანაში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა პირდაპირი გამსახურებაა, რომ დღეს მთლიანად არ ჩამოიქცა ჩვენი ეკონომიკა.

აქამდე რუშად იყვნენ და რუტინულ საქმეს ასე აკეთებდნენ. ახლა კი, როცა მიხვდნენ, რომ ცალკეული, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები თავს ნებას აძლევენ და მათ შრომას სასაცილოდ იგდებენ, ხმა ამოიღეს.

განსაკუთრებით მგრძობიარე საპატრიარქოს პოზიცია აღმოჩნდა, რომელმაც სპროტესტო ტალღა გამოიწვია და ემიგრანტთა შვილებმა აქციები კი გამართეს.

მოკლედ, ბოლო წლებში ბევრი დაბრუნდა, მაგრამ... რა? — კითხულობენ ქართველი ემიგრანტები: ყველა მათგანი ისევ წასვლაზე ფიქრობს, მაგრამ გართულებული საკითხი რეჟიმის გამო, ამას თითქმის ვერ ახერხებს.

ისე, არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის დატოვებას და საზღვარგარეთ წასვლას იმაზე სამჯერ მეტი ახერხებს, ვიდრე თუნდაც ხუთი წლის წინ.

„ქართული სიტყვა“ ერთ-ერთ ემიგრანტს ესაუბრა.

ეკა მაისურაძე (გვარი შეცვლილია), ადრე, 6 წელი იტალიაში ცხოვრობდა და მუშაობდა, რა თქმა უნდა, მოხუცის მომვლევად. დაბრუნდა, რათა მომაკვდავი მამისთვის ცოტა ხანს თვითონ მოეკლო (თურმე, ძალიან ძნელია, როცა უცხო ქვეყანაში უცხო მოხუცს უვლი, რათა საკუთარ სამშობლო-

გარანტიას იძლევიან, რომ წასვლას შეძლებ?

— ამას ნურავინ დაიჯერებს, ასეთი ფირმები საბუთების მოგვარებაში გეხმარებიან. საელჩოში კი, მარტო შედიხარ და ვერავინ, დედამინის ზურგზე, ვერ გაიგებს, იქიდან რა პასუხით გამოიხვე.

— რას ამბობენ? საქართველოში დარჩები?

— აქ რომ დავრჩე, როგორ შევიწახო სტუდენტის შვილები? ბოლო ვარიანტსაც გამოვიყენებ და თუ არაფერი გამოვიდა, თურქეთში წავალ. სხვა რა ვქნა?

— სამი საელჩო მოგივლია და საბუთები მეოთხეში შეგიტანია. ეს ხომ გარკვეული თანხებთანაა დაკავშირებული?

— ჩემი გოგონები დამეხმარნენ იტალიიდან — თითო 500-500 ევრო გამომიგზავნა. ახლა, ეს ვალიც გადასახდელი მაქვს.

თუ არაფერი გამოვიდა, ეკა თურქეთში წავა. თურქეთში, კერძოდ, სტამბულში კი, 2 წელი და ექვსი თვეა, ცხოვრობს ივლითი ქყონია და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა საქართველოში დაბრუნებას შეძლებს.

ივლითის ბავშვობიდან ვიცნობ. ყოველთვის ხალხისანი და მხიარული იყო. როცა თურქეთში ცხოვრებაზე დაველობარაკე, მივხვდი, რომ ძველი ივლითი თვალსა და ხელს შუა გამქრალა — მის ნაწერს დიდი სევდა და ტკივილი ამოვიკითხე. მადლობა სოციალურ ქსელებს, თორემ აქ გავგიჟებოდიო, მითხრა.

— ივლითი, საქართველოდან რატომ წახვედი?

— საქართველოს მოქალაქეებს სხვა მოსავალი აღარ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ გადაიხვეწონ. მეც სხვა მოსავალი ვერ ვნახე, რომ თავი ვერჩინა და პენსიონერ დედასაც დაეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში, სადაც ვმუშაობ, კარგად მექცევიან, ჩამოსვლიდან მეორე დღესვე მიხნოდა უკან გაქცევა, მაგრამ აგერ, 2 წელი და ექვსი თვეა, აქ ვარ და წასვლაზე ვერ არც ვფიქრობ.

— რატომ?

— რა აზრი აქვს? — ცოტა ხანში ისევ იმაზე მომიწევს ფიქრი, რომ თურქეთში წამოვიდე. ვინც საქართველოში დაბრუნდა, ისევ უკან გამოიქცა.

— ამბობენ, რომ საქართველოში დაბრუნებულები გადაჩვეული არიან ჩვენს გარემოს და უკან, საზღვარგარეთ ამიტომ მიდიან.


— სისულელეა... სახლში ყოფნას რა ჯობია?!

— ივლითი, სხვებისგან განსხვავებით, შეილება არ გყავს, მაგრამ გყავს მარტობულად მოხუცი დედა. ძნელი არ არის სხვა მოხუცს უფლიდე მაშინ, როცა იცი, რომ დედაშენს წყლის მიმწოდებელი არავინ ჰყავს?

— როცა სადილს ვაკეთებ, სულ იმაზე ვფიქრობ, რა იქნება, დედას ვუმზადებდე მეთქი. ფიქრებით სულ მასთან ვარ, მაგრამ რეალურად, სხვის მოხუცს ვუვლი. ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და მეც შევეჩვიე. ახლაც სტუმრებს ველოდებით და უნდა მოვემზადო. ასეა, ჩემო ნათია, ჯერ ბებოს უნდა მოვუარო და მერე — მის სტუმრებს. ასე ვცხოვრობთ ქართველები.

P.S. ასეა, როცა ქვეყანა, რომელსაც სამშობლო ჰქვია, ვერ უზუნველყოფს თავის მოქალაქეს ერთი უფლებით — საკუთარი შრომით შეინახოს თავი და ყველა მასზე დამოკიდებული ადამიანიც ასეა, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ „ბადანტებისა“ და „გოგონების“, როგორც თურქეთში ეძახიან, დიდი ნერვიულობის შედეგად აღებული ფულის იმედზეა და შორეულ პერსპექტივაშიც სასიკეთო არაფერი ჩანს. ამიტომ, ვიდრე პირს გავაღებთ, ან კომპიუტერს მივუსხდებით და ემიგრანტებზე აუგს ვიტყვით, ცოტა დაფიქრდეთ!..

ნათია ვერძოძე



ლიტერატურა, ფელეტონი, ჟიურნილი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვინაღაც დასმე

საინფორმაციო მხარდაჭერა

„COAST“ – ამერიკული პროექტი ქართველი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის



– ნახე, სოფიამ რა დამახატა, – მიცინის ლიზი და თითო-საკუთარ მოხატულ ლოყებზე მიმანიშნებს... დღეს პირველი ნოემბერი და სასტუმრო „რედისონში“ ვარ, სადაც თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოყვანილ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ზამთრისთვის თბილ ტანსაცმელს დაურიგებენ. პატარები დიდ, თეთრ ტორტს, პიცას, ლიმონათსაც დააგემრიელებენ... ეს კი არადა, სურვილის შემთხვევაში, სახესაც მოუხატავენ. ჰოდა, აი, სახემოხატული ლიზი დგას, მიცინის და საკუთარ სახეზე დახატულ შედეგს ამყაყად მაჩვენებს. მის წყლიან თვალებში რომ ჩაგახედათ, მიხვდებით, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რა ახატია შუბლიდან ნიკაპამდე... ნახატი, ლიზის ლიმილის გამო, უკვე შედეგია!

ბავშვები „რედისონის“ დიდ დარბაზში რამდენიმე ნაკადად შედიან... თბილისიდან, ლაგოდეხიდან, ჭიათურისიდან, რუსთავიდან, ნორიოდან, ნიქოზიდან და ძეგვიდან. გაიცვლიან ბუშტებით მოფენილ კორიდორს, შევლენ დარბაზში, სადაც სუფრათა გაშლილი, მივლენ დახლებთან დაწყობილ უამრავ თბილ ტანსაცმელთან და აირჩევენ სასურველს. თითო ბავშვს თითო ფესხაცმელი, შარვალი და სვიტერი აუცილებლად შეხვდება, მაგრამ როგორც წესი, შინ უფრო მეტის წაღებასაც ახერხებენ. პატარებს საორიენტაციოდ იმ სკოლის მოხალისეები დაჰყვებიან, რომელთა შემოწირულობასაც დღეს ბავშვებს დაურიგებენ. სხვადასხვა ნაკადს მაისურზე სხვადასხვა ფერის ფურცელი აქვს მიმაგრებული: ლაგოდეხის ნაკადს – ლურჯი, რუსთავისას – წითელი და ა.შ.

ლონისძიება დილის 11 საათზე დაიწყო და 5 საათს გაგრძელდა.

– მე ეს მწვანე შარვალი მომეწონა და წამოვიღე, – მუხუბნება 12 წლის დემეტრე, რომელსაც, ლიზისგან განსხვავებით, აშკარად ეტყობა, რომ სახეზე თავის ქალა ახატია, – ჰო... წელს ზამთარში არ შემეცოდება, მაგრამ ყველაზე მეტად ტორტი და სახეზე დახატვა მომეწონა... აი, იმან დამახატა, ლევანი ჰქვია.

კორიდორში, ფანჯარასთან, ვიდრე დიდ დარბაზში შეხვალ და ბიჭებისა და გოგონების ტანსაცმელად დაყოფილ სექციებს მიუახლოვდები, მოხალისეები, რომლებსაც ხატვა შეუძლიათ, პატარებს სახეზე ფუნჯებს უსვამენ. ბავშვები გატრუნულნი ელოდებიან შედეგს და თავსაც არ ამოძრავებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფოტოს გადასაღებად მიუახლოვდები.

ზოგი ჭამს, ზოგი ბუშტებს დასდეგს და ძირს ჩამოვარდნილს ისევ პაერში აგდებს, ზოგი ფესხაცმელს იზომავს, ზოგი – შარვალის, ან ქურთუკს... დიდ კედელზე მულტფილმებს აჩვენებენ და ბავშვებიც, ტორტით მოთხოპული ტუჩებით, თვალს არ აცილებენ.

ამასობაში ვარკვევ: პროექტი „COAST“ 2010 წელს, მიშელ დანმა დაარსა და 6 წელია, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ყოველწლიურად ეხმარება. წელს მარინა მაისურაძე-ონილის კოორდინატორობით, რომელიც პროექტში დაარსების დღიდანვე ჩართულია და „რედისონ ბლუ ივერიას“ გენერალური სპონსორობით, მომავალი ზამთარი 300-ზე მეტ ბავშვს გაუთბებს. პროექტის ფარგლებშივე, შემოწირულობა გაიღეს: „ბრიტიშ პეტროლეუმ ჯორჯიამ“, „ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ“, ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“, აშშ-ს საელჩომ და სხვადასხვა კერძო პირმა.

ეს კი, იმ სკოლების ჩამონათვალია, რომლებმაც საქველმოქმედო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა: „გ. ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია თბილისში“, „ახალი სკოლა“, „ქვილი-თი სკულს ინთერნეიშენალ“, „კავკასიის ფრანგული სკოლა“, „რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი“, „საერთაშორისო გერმანული სკოლა“, „ქართულ-ბრიტანული აკადემია“ და „წმ. გიორგის ქართულ-ბრიტანული სკოლა“.

ბავშვები ისე მხიარულად და ერთიანად აკეთებდნენ ყველაფერს, სურვილი გამოჩნდა, მეც მათი ნაწილი გავმხდარიყავი – ტუჩები მომეთხუპნა, სახე მომეხატა, ბუშტებს გამოვკიდებოდი და პარკები სახლში წასაღები ტანსაცმლით გამეტენა, მაგრამ ტორტი რომ შემომთავაზეს, უარი ვთქვი – ეტყობა, ბავშვების შემრცხვა.

– შენ მოგწონს? – მომესმა უკნიდან და როცა მივტრიალდი, ხელში ისევ ლიზი შემჩნა, რომელიც წელანდელივით ამაყი სახით, გაღიმებული მიმანიშნებდა საკუთარ ლოყებზე.

ბექა ლიზრაძე



საქართველო
საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარგე ლინი

კულტურა

The Virus საბავშვო ევროვიზიის დასაპყრობად ემზადება

„დრო ძილში არ დაკარგოთ!“ – ქართველი ვირტუოზი ბავშვების გზავნილი მსოფლიოს



21 ნოემბერს მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელი მსოფლიოს ყურადღება ბულგარეთისკენ იქნება მიპყრობილი და ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ ამ დღეს ქალაქ სოფიაში საბავშვო ევროვიზია უნდა გაიმართოს! წელს, საქართველოდან საბავშვო ევროვიზიაზე კვარტეტი „ვირუსი“ წარსდგება. ბავშვები სოფიაში 15 ნოემბერს გაემგზავრებიან... „ვირუსი“ გენდერული ბალანსი დაცული არაა – სამი გოგო და ერთი ბიჭია, თუმცა ამჯერად მთავარი გენდერული ბალანსი კი არა, გამარჯვებაა, რაშიც თავო გაგნის, ელენე კეჟურიშვილს, ლიზი თავბერიძესა და დათა პავლიაშვილს ეჭვი არ ეპარებათ. სხვათა შორის, თუკი „ვირუსი“ წლებგანდელი საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული გახდება, ეს პრეცედენტი იქნება, რამეთუ საქართველოს ეს კონკურსი უკვე ორჯერ აქვს მოგებული და გამარჯვებას, როგორც იტყვიან, გაასამშავებს... კვარტეტის ოთხივე წევრი „ბიკებისტუდიოში“ სწავლობს, ანუ ოთხივე გიგა კუხიანიძის აღმოჩენაა და ოთხივეს მეტ-ნაკლები მუსიკალური გამოცდილება აქვს. ასე, მაგალითად, ლიზი თავბერიძემ 2012 წელს, იტალიაში, მუსიკალურ ფესტივალზე – „ტრიკოლე“ პირველი ადგილი დაიკავა. დათა პავლიაშვილის მუსიკალური ბეგრანაუნი კი, მართლაც, თავბრუდამხვევია: გარდა იმისა, რომ ბებია (მამის მხრიდან) უბადლოდ მღერის, მის ძმას, რეპერ „მასტერს“ (გიორგი პავლიაშვილი) მთელი ქვეყანა იცნობს... დათას, გოგონებისა არ იყოს, ეჭვი არ ეპარება, რომ „ვირუსი“ მთელ მსოფლიოს კეთილი ვირუსივით მოედება, ანუ 10-11 წლის მომღერლებს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებათ, თუმცა არც იმას მალავენ, რომ კონკურენტია მალალი იქნება. ამ მხრივ კი, ავსტრალიისა და სომხეთის წარმომადგენლებს გამოყოფენ...

– „ვირუსი“ სპეციალურად საბავშვო ევროვიზიისთვის შეიქმნა? – ვეკითხები ბავშვებს.

– დიას, ყველაფერს აგისხნით, – თეატრალურად მასსულობს დათა, – ჩვენ, ყველანი „ბიკებისტუდიოში“ დავდივართ – მუსიკას ინდივიდუალურად ვსწავლობთ და, როგორც გამორჩეულები, შეგვარჩიეს.

თაკო: – მართალია, ყველა ერთ სტუდიაში ვსწავლობთ, მაგრამ ერთმანეთს არ ვიცნობდით. მახსოვს, პირველად 6 ივლისს შევიკრიბეთ და ცოტა ვმორცხვობდით...

– ვინ შეგარჩიათ? – ვინტერესდები.

– (ერთხმად) გიგა კუხიანიძემ.

– გიგამ რომ გითხრათ, ევროვიზიისთვის უნდა მოგამზადოთ, როგორი რეაქცია გქონდათ?

თაკო: – ცუდად გავხდი, რადგან ევროვიზიაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი...

ლიზი: – სხვებს რომ ვუყურებდი, მიხდოდა, ევროვიზიაზე მეც გამოვსულიყავი და ეს სურვილი ამხდა...

დათა: – მე ნახევრად ვიცოდი...

– საიდან იცოდი, გრძობდი?

დათა: – არა... „ბიკებისტუდიოში“ პირველად რომ მივედი, გიგამ მითხრა, თუ გინდა, რამეს მიაღწიო, ახლა კარგად იმღერეო. „ბიკებისტუდიოდან“ ყველაზე დიდი მიღწევა ევროვიზიაა და ამიტომ ვიცოდი, რომ ევროვიზიაზე გავიდოდი, თან გულიც მიგრძობდა...

– ისე, დათა, შენს ოჯახს დიდი მუსიკალური გამოცდილება აქვს – შენი ძმა, რეპერი „მასტერი“ საქვეყნოდაა ცნობილი. ვიცი, რომ ბებიაშენიც მღერის...

დათა: – (ამაყად) დიას...

– გოგონებო, სიმღერის ნიჭი თქვენც მემკვიდრეობით ხომ არ გადმოგეცათ?

თაკო: – ბებიაჩემი მღერის...

ელენე: – ჩემი მშობლები და დაც კარგად მღერიან...

ლიზი: – როგორც ვიცი, ჩემი დიდი ბებია მღეროდა...

– იცით, „მასტერი“ ვინაა?

გოგონები (ერთხმად): – რეპერია და დათას ძმა.

– დათა, „მასტერს“ აჯობებ? – გამომცდელად ვეკითხები 11 წლის მომღერალს.

დათა: – (ამაყად) კი!

– და არ ეწყინება?



დათა: – არ მგონია, რადგან ის უკვე საქვეყნოდაა ცნობილი. ისე, სახლში, ჩემთვის, გიორგის სიმღერებს ვმღერი ხოლმე.

– ბავშვებო, ჯგუფს „ვირუსი“ რატომ დაარქვით?

ელენე: – გვინდოდა, უცხო სახელი გქონოდა.

თაკო: – და ვირუსივით ყველას „გადავედოთ“.

დათა: – აბა, რა?! – მთელ ქვეყანას ვირუსივით მოვედებით.

ლიზი: – ოღონდ ეს ის ვირუსი არაა, დაავადებას რომ ეძახიან. ჩვენ კეთილი „ვირუსი“ ვართ!

– სიმღერა ვინ დაგინერათ?

– (ისევე ერთხმად) გიგა კუხიანიძემ.

– ინგლისურად მღერით?

დათა: – არა, ევროვიზიის მოთხოვნაა, რომ სიმღერის ტექსტი ქართული იყოს.

ელენე: – ჩვენი სიმღერა მსოფლიოს ყველა ადამიანს ეუბნება, რომ ზარმაცი არ იყოს, დრო ძილში არ დაკარგოს, რაც არ მოსწონს, შეცვალოს და საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს!

– ის, რაც არ მოგწონთ, როგორ უნდა შეცვალოთ?

ლიზი: – როგორ და, – უნდა გავებოთ!

დათა: – ჩვენ მსოფლიოს შევცვლით!.. სხვა ქვეყნებშიც ძალიან დიდი მომავალი გვაქვს და კონცერტებს გავმართავთ ხოლმე!..

ელენე: – ისე, პირობა დავდეო, რომ არასოდეს დავიშალოთ!

თაკო: – ჩვენი გამოსვლა ძალიან ინდივიდუალური იქნება და მსოფლიოს გავაოცებთ!

ერთი სიტყვით, „ვირუსი“ პლანეტას გაბედვისკენ მოუწოდებს – სიმღერას, რომელსაც კვარტეტი სოფიაში შესარულებს, სწორედ „გაბედვ“ ჰქვია. სხვათა შორის, დიდი ხანი არაა, რაც „ვირუსის“ კლიპი ინტერნეტში გამოჩნდა და უკვე 40 ათასზე მეტი ნახვა აქვს, რაც პატარა ვირტუოზებისთვის, ცხადია, დიდი სტიმულია!..

ნატა შამათაძე





ლიტერატურა. ხელოვნება. ჟურნალი

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე!“
კონსტანტინე ასათიანი

არა-ჩვეულებრივი გვერდი

დალიდა

1988 წლის აპრილში, დალიდა პარიზის ცნობილ საკონცერტო დარბაზ „ოლიმპიას“ სცენაზე უკანასკნელად გამოჩნდა. მომღერალი იმ დღეს დამატყვევებელი იყო. დარბაზი ტაშს ფეხზე ამდგარი უკრავდა...
ქართული რეჟისა

რამდენიმე დღის შემდეგ კი, საკუთარ სახლში შეიმოსა და თეთრ მუყაოზე სიკვდილისწინა მოკლე ბარათი დაწერა: „სიცოცხლე ჩემთვის აუტანელია. მამატიეთ. დალიდა“. შემდეგ, ბარათი ოქროს ბუდას ქანდაკებას მიამაგრა, შავი სათვალე გაიკეთა, დაწვა, საძილე საშუალებების სასიკვდილო დოზა მიიღო, ერთი ჭიქა ვისკი მიიყოლა და სამუდამოდ წავიდა... მაშინ „ეგვიპტის დედოფალი“, როგორც მას უწოდებდნენ და ფრანგული ესტრადის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, 54 წლის იყო...

„შავი ძვირის“ სამი სიკვდილი

იტალიური წარმოშობის ეგვიპტელი იოლანდა კრისტინა ჯილიოტი 16 წლისა გახლდათ, როცა რამზეს მეორისა და დედოფალ ნეფერტიტის ტაძრები მოინახულა. სწორედ იქ, ლუქსორში უცნაური ამბავი შეემთხვა: დედოფალ ნეფერტიტის ხმა ჩაესმა: „რას ისურვებდი, საყვარელო ბავშვო?“. „მინდა, შენსავით ლამაზი ვიყო და ვარსკვლავად ვიქცე“; – მიუგო იოლანდა. მაშინ მსხვერპლი უნდა გაიღო და დალიდად იქცე; – კვლავ ჩაესმა დედოფლის შორეული ხმა.

დალიდა ბიბლიური იგავის გმირი, სამსონის შეყვარებული იყო, რომელსაც უღალატა და თმა შეაჭრა, რითიც ძლევა მოსილენა წაართვა და სასიკვდილოდ განირა.

„და მაშინ, როგორც დალიდა, ყველა შენი ქმრის სიკვდილში დამნაშავე იქნები“, – განაგრძო ხმამ. „თანახმა ვარ“, – გაბედულად წარმოთქვა იოლანდამ. „მაშინ ნილოსის გალმა უნდა გახვიდე, სადაც ყოველ საღამოს მზე მეფეთა ველის მიღმა ჩადის. იქ მკვდრების ნაპირია, მაგრამ მარადისობის დასასწავსი იქაა... მშვიდობით, დალიდა...“

დალიდამ, მართლაც, მიადნია დიდების მწვერვალს და მეგავარსკვლავი გახდა, თუმცა მუდამ შენატროდა ნაცნობ მეფუნთუშე ქალს, რომელსაც შინ მოსიყვარულე ქმარი და სამი შვილი ელოდა...
მანამდე კი...

22 წლის ასაკში, 1954 წლის 24 დეკემბერს, გემიდან პარიზის სანაპიროზე გადაჯდა, სადაც წარუმატებლად ცდილობდა მსახიობის კარიერის აწყობას. მარცხს მარცხი მოსდევდა და გოგონამ უკვე ეგვიპტეში, მშობლიურ სახლში დაბრუნება გადაწყვიტა, როცა საფრანგეთში ფილმის – „ტუტანჰამონის ნილაბი“ გამოსვლასთან დაკავშირებით, დალიდას ფოტო ჟურნალ „ჩინემონდე“-ს გარეკანზე მოხვდა.

და დიდებამაც არ დააყოვნა.

იოლანდა გავლენიანი ფრანგული რადიოსადგურ „ევროპა 1“-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში – „ხვალნდელი ვარსკვლავები“ მიიწვიეს, სადაც დამწყებ მომღერალს ყურადღება მიაქციეს ლეიბლის მფლობელმა ედი ბარკლაიმ და რადიოს დირექტორმა ლუსიენ მორისმა, რომელმაც პირველმა გაუშვა დალიდას სიმღერები ეთერში. ისინი ბევრს მუშაობდნენ, თუმცა თავდაპირველად, წარუმატებლად, არადა, ლუსიენი ხედავდა, რომ დალიდას განსაკუთრებული ქარიზმა ჰქონდა. მორისი კი, ჯიუტი იყო და... მალე სიმღერა „ბამბინოც“ იშვა, რომლის წყალობითაც ლუსიენმა დალიდა „შექმნა“, როგორც პიგმალიონმა – გალათეა და „შავი ორქიდეის“, როგორც მას თავიანისმეტყველება შეარქვეს, დიდების ჟამიც დადგა. წარმატება ისეთი განუზომელი იყო, რომ ედიტ პიაფიც კი ააღაპარა.

ერთ-ერთი პროდიუსერის რჩევით, იოლანდამ ეგვიპტური ფსევდონიმი დალიდა დალიდათი შეცვალა, თუმცა ამას ნეფერტიტისთვის მიცემულ დაპირებაზე გავლენა არ მოუხდენია.

1957 წელს, დალიდას ფირფიტის 300 ათასი ასლი გაიყიდა, რასაც კვალდაკვალ მოჰყვა მსოფლიო ჰიტები, დღესაც რომ სრულდება მსოფლიოს უდიდეს სცენებზე, მაგალითად, ლარა ფაბიანის მიერ.

დალიდას ფოტოები ჟურნალის გარეკანებიდან აღარ ჩამოდის. აღენ დედონთან ერთად წერს უმშვენიერეს დუეტს: „პაროლე, პაროლე“ („სიტყვები, სიტყვები“).

1961 წელს, 5-წლიანი ურთიერთობების შემდეგ, დალიდა ცოლად გაჰყვა რადიომა-





საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას ხომ შენით იტყვა;
დადება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

არა-ჩვეულებრივი გვერდი

გა-18 გვერდიდან

გნატ ლუსიენ მორისს, თუმცა თითქმის მაშინვე, კანში გასტროლებისას, პოლონელი მხატვარი ჟან სობესკი გაიცნო, რომელთანაც ბობოქარი რომანი გააჩაღა, თუმცა ჟანმა მალე მიატოვა. სხვათა შორის, ის ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელიც „შავი ორქიდეისგან“ წავიდა და... ცოცხალი გადარჩა! მორისმა კი დალიდას ლალატი ვერ აპატია. მიუხედავად იმისა, რომ მათი გზები კიდევ ერთხელ, მცირე ხნით გადაიკვეთა, რამდენიმე წლის შემდეგ, მედიამაგნატმა თავი მოიკლა.....

არანაკლებ ტრაგიკულად დასრულდა დალიდას რომანი იტალიელ კომპოზიტორ ლუიჯი ტენკოსთან. 1967 წელს, სან-რემოს ფესტივალზე მათ ერთად შეასრულეს კომპოზიცია „მშვიდობით, სიყვარულო, მშვიდობით“, თუმცა საზოგადოებამ ცუდად მიიღო ნონ-კონფორმისტი შემსრულებელი.

სიმღერა სან-რემოს ფესტივალის ფინალში ვერ გავიდა, პატივმოყვარე ტენკომ სირცხვილი ვერ მოიხელა და ლამით, სასტუმროს ნომერში, თავი პისტოლეტით მოიკლა. მისი ცხედარი დალიდამ აღმოაჩინა და მუჭებით ყლაპა ბარბიტურატები, თუმცა 90-საათიანი კომის შემდეგ, სიცოცხლეს დაუბრუნდა, ოღონდ ხელუბნის ნევროზის განვითარების გამო, რამდენიმე ოპერაციის გადატანა მოუხდა.

1970-იანი წლების დასაწყისში, დალიდა ხანგრძლივ ურთიერთობას აბამს ავანტიურისტ რიშარ შამფრესთან. ექსცენტრიკული მხატვარი, რომელიც საკუთარ თავს გრაფ დე სენ-ჟერმენს უწოდებდა და „სამსონის ქვრივი“ ერთად წერენ დუეტებს, ბობოქრად გამოხატავენ გრძნობებს, მაგრამ 1981 წელს ერთმანეთს შორდებიან, ორი წლის შემდეგ კი, შამფრეს მისსავე ავტომანქანაში გარდაცვლილს პოულობენ, სან-ტროპეში. დალიდას ფსიქიკა იმ დროისათ-

ვის საბოლოოდ შეირყა. გაურთულდა თვალის დაავადებაც, ბავშვობიდან რომ სტანჯავდა, რის გამოც არც ერთი ლამე ანთებულ ნათურის გარეშე არ უძინია. ჭორიკნებმა ვარსკვლავს „შავი ქვრივი“ შეარქვეს, თანაც იმხანად იდუმალი სნეულებით იღუპება ქონდრისკაცების – პეტროსა და ლუჩიას ოჯახური წყვილი, ვარსკვლავის სახლის საქმეებს რომ უძღვებოდა და დალიდაც ძალიან მიჯაჭვული იყო მათზე.

„ცოტა არ მიცხოვრია და ბევრსაც მივალნივ, – თქვა ერთხელ მომღერალმა, – მაგრამ ჩემს ცხოვრებაში რაღაც ისე არ არის...“

დალიდა ხშირად იმეორებდა სიტყვებსაც: „თუ გინდა, ბედნიერი იყო, იყავი ბედნიერი მალულად!“ ის ძალიან იტანჯებოდა მარტოობით და დარწმუნებული იყო, რომ მის ცხოვრებაში კარგი აღარაფერი მოხდებოდა. უშვილო, უბედური და მარტოსული ვარსკვლავი ბოლო ხანებში ბევრს ენეოდა

და უძილობას ებრძოდა, ზოგჯერ მეგობრებსაც ურეკავდა თხოვნით, რომ ღამე მარტო არ დაეტოვებინათ.

სიკვდილი მუდამ კვალდაკვალ სდევდა. ყველა, ვინც უყვარდა, ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან და დალიდაც გადაწყვიტა, რომ სიცოცხლე აღარ ღირდა.

მომღერლის სიკვდილის შემდეგ კაცობრიობას მისი 2000 სიმღერა და 120 მილიონი ფირფიტა დარჩა.

ჟანა დარკისა და სარა ბერნარის შემდეგ, დალიდა მესამე ქალად იქცა, ვისაც პარიზში ძეგლი დაუდგეს...

ძნელი სათქმელია, მართლაც, ითამაშა თუ არა მის ტრაგედიაში როლი ფსევდონიმად არჩეულმა სახელმა, თუმცა დამთხვევაზე საუბარიც ძნელია: დალიდას სამივე საყვარელმა მამაკაცმა ხომ თავი მოიკლა! ვინ იცის, ეგებ ეს დედოფალ ნეფერტიტის არა მარტო წყალობა, არამედ, წყევლაც იყო...



The Virus საბავშვო ეპროპიზიის დასაბავშვებელი ეგზამპლი

სოფიაში 15 ნოემბერს გაემგზავრებინ... „ვირუსში“ გენდერული ბალანსი დაცული არაა – სამი გოგო და ერთი ბიჭია, თუმცა ამჯერად მთავარი გენდერული ბალანსი კი არაა, გამარჯვებაა, რაშიც თავი გაგანიძეს, ელენე კეფურიშვილს, ლიზი თავბერძენსა და დათა პავლიაშვილს ეჭვი არ ეპარებათ. სხვათა შორის, თუკი „ვირუსი“ წლევანდელი საბავშვო ეპროფესტივალის გამარჯვებული გახდება, ეს პრეცედენტი იქნება, რამეთუ საქართველოს ეს კონკურსი უკვე ორჯერ აქვს მოგებული და გამარჯვებას, როგორც იტყვიან, გაასამაგებს...

(ღებულები ნაიკითხეთ გე-17 გვ-ზე)



„დრო ძილში არ დაპარგოთ!“ – ქართველი ვირტუოზი ბავშვების გზავნილი მსოფლიოს

განსულის სიტყვანათელები

უპრინულ-ქართული
არც ნაკლები, არც მეტი ხარ, თუმცა მთლად შეშლილი ხარ, „კიევიური კატლენტი“ ხარ, უკრაინის შვილი ხარ. დღეს შიგ თავში გირტყამს უროს, ვინც შენ გუშინ გაქებდა, გაცვეთილო, შაბლონურო, გაეთრიე აქედან!

„ნატო“
თავიდან ყარს თევზი, მაგრამ შენ ხომ თევზი არა ხარ, ეს მითხარი, შე უთავო, შენ საიდან ყარხარ?

მეორადი
შენგან, ბიჭო, კარგს არ ველი, მტრის გარმონზე უკრავ, მეორადი ტანსაცმელი შეიტენე უკან.

„ამისტაგო-ივისტაგო“
ვილაცა „სტალინელია“, ვილაცა იყო „ტროცკისტი“, ვილაცა „ზვიადისტი“, ხვალ „მიშისტების“ დროც გვიცდის. ვილაცა რუსეთშია, რუსული ბანრით შებმულა, თუმცა სიტყვა „შეგარდნაძისტი“ არასდროს დამკვიდრებულა. ქართველნო, მტრების ჯინაზე არასდროს არ ვართ მხედრულად, მითხარით, „იმისტ-ამისტი“ თუ ვინმე გახარებულა?

კაცი და დედა-კაცი
კაცობაც არასწორია, რუსთველის სიტყვაც ცხადია – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, ქალი ჩვენ მარად თავქვე გვყავს, ქეშმარიტებაც მკაცრია, კაცი კაცია ამქვეყნად, ქალი კი, – დედა-კაცია!

მასხრები
იბადებინ მასხრებად, მასხრები მასხრად კვდებინ, „კანტიპისგან“ „ნაცები“, ნეტა, რით განსხვავდებინ?

როდის
დღეს სიცოცხლე არც მინდებდა, თვალთგან ცრემლი მომდის, საქართველო გაბრწყინდება, მაგრამ მითხარ, როდის?



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეიშაბი – „ეპერჯენსი“



დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია



მთავარი რედაქტორი: ვანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაჭაპა ამირაშვილი, მერაბ ბარბაქაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, თამარ გოცაძე, ეზარ კვიციანი, არგუზ სანუაშვილი.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გომბიძე, ნათია ვერძელი.
დიზაინერი და ფოტოკორექსორდენტი: ზურა მებრელიშვილი.

ბაზათი რეპროდუქციული რემონტის ცენტრი (საბადასახლო ინსაჟინა) მიმარ. რეპროდუქციის №22851
E-Mail: qartulicityva@gmail.com
ბაზათი მომხმდებ თბილისის პირველი კლინიკური
მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90